საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან

№ 81 (883)

შაბათი, 14 მაისი, 1994 წელი.

ფასი 6000 კუპონი

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის დელეგაცია თბილისში

13 მაისს თბილისში ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებთან ურთიერთობაში ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის კოორდინატორი, ელჩი ჯეიმს ფრანკლინ კოლინზი. ამ წარმომადგენლობითი დელეგაციის ვიზიტის მიზანია ქვეყნის ხელმძღვანელებს გაუზიაროს აზრი ფართო წრის საკითხებისადმი, კერძოდ, საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების რეგიონალური და საგარეო პოლიტიკისადმი მიდგომის შესახებ.

გუშინვე გაიმართა საუბარი რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრთან ალექსანდრე ჩიკვაიძესთან, ამ სამინისტროსა და თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელ-მუშაკებთან. სტუმრები ეწვივნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მისიებს საქართველოში, შეხვდნენ ნატოს წევრი ქვეყნების ელჩებს საქართველოში.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა სადილი გაუმართა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის დელეგაციას.

14 მაისს გაიმართება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის ე. შევარდნაძის საუბარი ამერიკის დელეგაციის წევრებთან.

სტუმართა ორდღიანი ვიზიტის პროგრამაშია შეხვედრა საქართველოს პარლამენტის წევრებთან, საუბარი საქართველოში საგანგებო ვითარების დროებითი კომიტეტის თავმჯდომარესთან ჯაბა იოსელიანთან.

დღეს, 14 მაისს, ერევანში გამგზავრების წინ, დელეგაციის წევრები შეხვდებიან ქართველ და უცხოელ ჟურნალისტებს პრესკონფერენციაზე, რომელიც სასტუმრო „მეტეხში" გაიმართება.

აფხაზეთში მიავლენენ სამშვიდობო მისიას

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო სახალხო დიპლომატიის საერთაშორისო კომიტეტის, ჰუმანიტარული ინიციატივების საერთაშორისო ფონდისა და სახალხო დიპლომატიის აფხაზეთის კონფლიქტის მუდმივი მისიის პრეზიდენტი ნიკოლოზ დიკო, ამავე მისიის წევრი ლიონელ დადიანი და „დემოკრატიისა და აღორძინების" ფონდის ხელმძღვანელი სოლიკო ხაბეიშვილი.

სახალხო დიპლომატიის საერთაშორისო ფორუმის რეკომენდაციით საერთაშორისო სახალხო დიპლომატიამ, ჰუმანიტარული ინიციატივების საერთაშორისო ფონდმა და სახალხო დიპლომატიის აფხაზეთის კონფლიქტის მუდმივმა მისიამ მიიღეს გადაწყვეტილება 1994 წლის მაისში მიავლინონ აფხაზეთში სამშვიდობო მისია. ამ ჯგუფის გამგზავრებას მხარი დაუჭირა რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროს საგარეო საქმეთა კომიტეტმა, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა და სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივმა სტრუქტურებმა.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ყოველგვარი ხელშეწყობა და თანამშრომლობა აღუთქვა სამშვიდობო მისიის წევრებს.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივნო.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკისა და თურქეთის რესპუბლიკის ინვესტიციების ურთიერთწახალისებისა და დაცვის ხელშეკრულების რატიფიკაციის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

რატიფიცირებულ იქნეს 1992 წლის 30 ივლისს ქ. თბილისში ხელმოწერილი საქართველოს რესპუბლიკისა და თურქეთის რესპუბლიკის ინვესტიციების ურთიერთწახალისებისა და დაცვის ხელშეკრულება.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე
რუსუდან ბერიძე

თბილისი, 1994 წლის 12 მაისი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკისა და პოლონეთის რესპუბლიკის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების რატიფიკაციის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

რატიფიცირებულ იქნეს 1992 წლის 20 აპრილს ქ. თბილისში ხელმოწერილი საქართველოს რესპუბლიკისა და პოლონეთის რესპუბლიკის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე
რუსუდან ბერიძე

თბილისი, 1994 წლის 12 მაისი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა და პოლონეთის რესპუბლიკის მთავრობის რეგიონთაშორისი ურთიერთობის შეთანხმების რატიფიკაციის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

რატიფიცირებულ იქნეს 1992 წლის 20 აპრილს ქ. თბილისში ხელმოწერილი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა და პოლონეთის რესპუბლიკის მთავრობის რეგიონთაშორისი ურთიერთობის შეთანხმება.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე
რუსუდან ბერიძე

თბილისი, 1994 წლის 12 მაისი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობის საერთაშორისო საგზაო მიმოსვლის ხელშეკრულების რატიფიკაციის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

რატიფიცირებულ იქნეს 1992 წლის 30 ივლისს ქ. თბილისში ხელმოწერილი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობის საერთაშორისო საგზაო მიმოსვლის ხელშეკრულება.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე
რუსუდან ბერიძე

თბილისი, 1994 წლის 12 მაისი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკისა და თურქეთის რესპუბლიკის სავაჭრო და ეკონომიკური თანამშრომლობის ხელშეკრულების რატიფიკაციის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

რატიფიცირებულ იქნეს 1992 წლის 30 ივლისს ქ. თბილისში ხელმოწერილი საქართველოს რესპუბლიკისა და თურქეთის რესპუბლიკის სავაჭრო და ეკონომიკური თანამშრომლობის ხელშეკრულება.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე
რუსუდან ბერიძე

თბილისი, 1994 წლის 12 მაისი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

„მავნე ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაცვის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

„მავნე ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაცვის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონი მიღებულ იქნეს პირველი მოსმენით.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე
რუსუდან ბერიძე.

თბილისი, 1994 წლის 12 მაისი



14 მაისი — თამარობა

ერთად-ერთი ნავთსაყუდარი...

საქართველოში ყოველი ფეხის გადადგმა განა თამარის ლეგენდით არ არის აყვავებული?! ყველგან — თამარ, და მარტო თამარ!! განა ოდესმე ქართველის გულის ფართქალში გაჰქრება თამარ, როგორც ნუგეში და იმედი?! არასოდეს!! ვინ იცის, ჩვენს უმზგავსო ცხოვრებაში, საცა შურისა და შუღლის მეტი არა ისმის რა, მრავალი ქართველისათვის მხოლოდ თამარია ერთად-ერთი ნავთსაყუდარი. ვინ იცის, ჩვენს უმგვანო ცხოვრებაში, საცა აღფრთოვანებას ფრთები ეჭრება „მეშჩანური" მორალისაგან, მრავალი ქართველისათვის მხოლოდ თამარია ერთადერთი, რომლისათვის ამ საშინელ ქვეყანაში საკუთარი სულიც ციხედ გარდაქმნილა!! ვინ მისცემს მათ ხსნას? თვალის მომჭრელი ლანდი თამარის!!! დიახ, ქართველის გული თამარის სიყვარულით ფართქალობს. და საგულისხმოა, ფრიად, რომ თამარის საფლავი დღემდე არავინ იცის. იგი ყველას ეკუთვნის და არავის: მისი საფლავი ქართველის გულია, — ხოლო ქართველის გრძნობაში ეს „საფლავი" კი არ არის, არამედ ლამაზი საყვავილე სურა, საცა ყვავილობს უჭკნობი ყვავილი — დიდი თამარ!

გრიგოლ რობაქიძე.
1919 წელი.

ხიდები

ოფიციალური შეხვედრები სამხრეთ აფრიკასა და გერმანიაში

10 მაისს საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე ოფიციალურ ვიზიტად იმყოფებოდა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, სადაც მსოფლიოს 180 ქვეყნის დელეგაციასთან ერთად დაესწრო სამხრეთ აფრიკის ახლადარჩეული პრეზიდენტის, მისი აღმატებულების ბატონ ნელსონ მანდელას ინაუგურაციის ცერემონიალს.

11 მაისს ბატონ ვახტანგ გოგუაძეს აუდიენცია ჰქონდა პრეზიდენტ მანდელასთან. ამ შეხვედრის დროს მან გადასცა პრეზიდენტს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურის, მისი აღმატებულების ედუარდ შევარდნაძის ამ დღისადმი მიძღვნილი მილოცვის წერილი და სიტყვიერად დაუდასტურა საქართველოს ხალხისა და პარლამენტის დადებითი დამოკიდებულება ამ მოვლენის მიმართ.

პრეზიდენტმა მანდელამ დიდი სიხარულით მიიღო ბატონ ედუარდ შევარდნაძის მილოცვა და აღნიშნა ის დიდი მნიშვნელობა, რომელსაც იგი ანიჭებს მისი დიდი მეგობრის ბატონ ედუარდ შევარდნაძის ყურადღებას. ხაზგასმით თქვა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია საქართველოს რესპუბლიკის დელეგაციის მონაწილეობა ამ მოვლენაში სამხრეთ აფრიკისა და საქართველოს რესპუბლიკის მომავალი მჭიდრო თანამშრომლობის თვალსაზრისით.

სამხრეთ აფრიკიდან საქართველოში დაბრუნებისას 18 მაისს ბატონი ვახტანგ გოგუაძე შეხვდა გერმანიის ბუნდესტაგის თავმჯდომარეს ქალბატონ რიტა ზიუსმუტს. შეხვედრაზე საქმიანი და კონსტრუქციული საუბრის დროს საქართველოს პარლამენტის სპიკერმა გამოხატა მადლიერება იმ დახმარებისა და თანადგომისათვის, რომელსაც გერმანია იჩენს საქართველოს მიმართ. თავის მხრივ ქალბატონმა ზიუსმუტმა აღნიშნა, რომ ეს არის ორმხრივი პროცესი, რადგან გერმანია არასდროს დაივიწყებს ბატონ ედუარდ შევარდნაძის უდიდეს წვლილს გერმანიის გაერთიანების საქმეში.

შეხვედრაში მონაწილეობდა საქართველოს რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გერმანიაში კონსტანტინე გაბაშვილი.

საქართველოს პარლამენტის პრესცენტრი.

„ჩელისი" — ქართულ-ამერიკული წარმოების ღვინო

ამას წინათ კალიფორნიის ქალაქ ლივერმორში ადგილობრივმა ცნობილმა კომპანიამ ღვინის წარმოებისა და გასაღების დარგში „ვენტი ბროსმა" და ქართულმა ფირმა „სამებამ" ხელი მოაწერეს შეთანხმებას ერთობლივი საწარმოს შექმნის შესახებ. მის მიზანს შეადგენს ქართული ღვინის წარმოება და გასაღება ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ.

ასეთი სახის ერთობლივი საწარმო ღვინის წარმოების დარგში, რომელშიც გათვალისწინებულია პირდაპირი ინვესტიციები ამერიკელთა მხრიდან, პირველია ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის. დასაწყისისათვის თითოეული მხარე ინვესტიციის სახით გაიღებს მილიონ დოლარს, რაც ძირითადად მოხმარდება საგარეჯოს ღვინის ქარხნის მოდერნიზაციასა და აღჭურვას.

ისიც აღსანიშნავია, რომ ერთობლივი საწარმოს ერთ-ერთი კერძო ინვესტორია ჯორჯ შულცი, ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი სახელმწიფო მდივანი, რომელმაც პირადად 50 ათასი დოლარი გაიღო.

„ვენტი ბროსის" მენეჯერის ჯონ შვორცის აზრით, „საქართველო მსოფლიოს ერთ-ერთი რისკიანი ადგილია, მაგრამ მას დიდი პოტენციალი აქვს", და აქვე აღნიშნავს საქართველოს მიწისა და ჰავის უნიკალურობას.

ინფორმაცია მთავრობის სახლიდან

26 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით დასვენების დღის გადატანის შესახებ

საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღის — 26 მაისის ზეიმთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა დაადგინა, რომ დასვენების დღე — კვირა 1994 წლის 29 მაისიდან გადატანილ იქნეს პარასკევს, 27 მაისს.

შვეიცარიაში საქართველოს რესპუბლიკის სავაჭრო-ეკონომიკური წარმომადგენლობის შექმნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკასა და შვეიცარიას შორის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა გაღრმავების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით შვეიცარიაში შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის სავაჭრო-ეკონომიკური წარმომადგენლობა.

შვეიცარიაში საქართველოს რესპუბლიკის სავაჭრო-ეკონომიკურ წარმომადგენლად დამტკიცდა ნოდარ კვანტალიანი.

თბილისის თოჯინების ქართულ სახელმწიფო თეატრს მიეკუთვნა გიორგი მიქელაძის სახელი

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით თბილისის თოჯინების ქართულ სახელმწიფო თეატრს მიეკუთვნა საქართველოში თოჯინების თეატრის დამაარსებლისა და პირველი ხელმძღვანელის გიორგი მიქელაძის სახელი.

ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა აღრიცხვის შესახებ

ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა ხელახალი ოპერატიული აღრიცხვის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით წლეულს, ივნისში რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში მოეწყობა იქ დროებით განსახლებულ ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა ხელახალი აღრიცხვა-რეგისტრაცია და მათ ახალ მოწმობებს მისცემენ.

შეიქმნება დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა აღრიცხვის რესპუბლიკური კომისია ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტის თავმჯდომარის ვალერიან ვაშაკიძის ხელმძღვანელობით.

დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა აღრიცხვის რესპუბლიკურ კომისიას დაევალა ათი დღის ვადაში შეიმუშაოს აღრიცხვის ჩატარების დებულება.

ზურგში ჩაცემული მახვილი

რეპორტაჟი საგანგებო სიტუაციათა ზონიდან

წერილის სათაურში გამოტანილმა ამ სიტყვებმა, რომლებიც ჩემს შესაძლო ოპონენტებს ვეთანხმები, იქნებ მეტისმეტად მკვეთრი და ერთგვარად სენსაციურიც იყოს, შეიძლება მკითხველთა გარკვეულ ნაწილში თავდაპირველად — ვიდრე მასალას ბოლომდე ჩაიკითხავდნენ — ერთგვარი პროტესტის გრძნობა დაბადოს და იმვნეული უნდობლობაც გამოიწვიოს. და ეს არც იქნება მთლად გასაკვირ-მოულოდნელი: პუბლიკაცია ხომ სამეგრელოს რეგიონს ეხება, რომელმაც და რომლის მკვიდრმა მოსახლეობამაც ამ ბოლო წლებში ბევრი იქნებ სამართლიანი, მაგრამ ბევრზე ბევრი უსამართლო კრიტიკა, ზოგჯერ კი მოღალატისა და სეპარატისტობის იარლიყიც „დაიმსახურა".

და უწინარესად სწორედ მათ საყურადღებოდ ამთავითვე ვიტყვი: წერილის სათაურში გამოტანილი ეს სიტყვები, რომლებიც სენაკის რაიონის გამგებელს ბატონ ტარიელ დგებუაძეს ეკუთვნის, სამეგრელოსთვის ნასროლი მორიგი ტალახის გუნდა კი არ არის, არამედ, ჩემი აზრით, ზუსტად შეესატყვისება და ახასიათებს აღდგომის დღეს სენაკში მომხდარ ფაქტს, რომელმაც ასე შეძრა და ააფორიაქა სამეგრელოც და მთელი საქართველოც. იმ დღეს, როგორც იტყვიან, დღისით-მზისით, თვალსა და ხელსშუა, დაიწვა (თუ დაწვეს!) რაიონის ცენტრში მდებარე გამგეობის შენობა, ასე რომ უხდებოდა და ამშვენებდა ქალაქს...

რამდენი წელია ტარიელ დგებუაძეს ვიცნობ, რამდენ ექსტრემალურ სიტუაციასა თუ გასაჭირში მინახავს იგი, მაგრამ ეს მართლაც მთასავით ვაჟკაცი ასე დათრგუნვილი, ალბათ, არასოდეს შემხვედრია..

— შენობაში მუდამ იყო სადღეღამისო მორიგეობა, — მეუბნება იგი, — სადღესასწაულო დღეებში კი განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ამ და სხვა სახელმწიფო დაწესებულებათა შენობა-ნაგებობების დაცვას. თანაც, გამგეობის შენობის პირველ სართულზე განლაგებულია სახელმწიფო ქონების დაცვის განყოფილება, სადაც დღედაღამ იმყოფებიან პოლიციის თანამშრომლები.

ხანძრის დღეს, დილით, ჩემს სამუშაო კაბინეტში ვიყავი. თერთმეტი საათისთვის ერთ ობიექტზე უნდა გავსულიყავი და მორიგეს დავუბარე, რომ ნახევარ საათში დავბრუნდებოდი. გამოსვლისას რაიმე საეჭვო, დამწვრის სუნი და, მით უფრო, ბოლი არ შემინიშნავს. სულ რაღაც 20 წუთში უკან მობრუნებულს კი მესამე სართულზე ხანძარი უკვე კარგად გაღვივებული დამხვდა — მთელ სახურავზე ცეცხლი გიზგიზებდა. თანაც, სულ ცოტა 3-4 სხვადასხვა ადგილას ერთბაშად ავარდა ალი სხვენზე. გადაჭრით არაფრის თქმა არ შემიძლია, ხანძრის გამომწვევ მიზეზებს, ალბათ, გამოძიება და ექსპერტები დაადგენენ, მაგრამ, თუ შეიძლება ითქვას, მისი გაჩენისა და, რაც მთავარია, გავრცელების ხასიათი მაფიქრებინებს, რომ ეს არ იყო უბრალო უბედური შემთხვევა. იგი უფრო დივერსიას გავს...

ხანძრის მეორე დღე იყო. გამგეობის დანაცრულ, შავჩონჩხად ქცეულ შენობასთან ვიდექით და ვსაუბრობდით. იქვე ტრიალებდნენ იმ ოცამდე სხვადასხვა წამყვანი რაიონული სამსახურის მუშაკები, ადრე რომ გამგეობის შენობაში ისხდნენ და ახლა, ამ სიტყვების პირდაპირი გაგებით, ქუჩაში იყვნენ დარჩენილი. აქვე ნაწილდებოდა დავალებები, გაიცემოდა განკარგულებები...

— ბეჭედი, შტამპი თუ ბლანკის სატიტულო ფურცლებიც კი არა გვაქვს, რომ სადმე საქმიანი დოკუმენტები გავაგზავნოთ, ყველაფერი დაიწვა, ცეცხლგამძლე სეიფებში ჩაკეტილი საბუთებიც დაინაცრა, — დრო რომ მოიხელთა, განაგრძო საუბარი გამგებელმა. — იცით, ერთი დიდი უბედურება ის არის, რომ ასეთი საყოველთაო გაჭირვებისა და სოციალური დეფიციტის პირობებში ამხელა შენობა განადგურდა, მაგრამ არანაკლებ მძიმეა იმის შეგრძნება, რომ ასეთ რამეს ოდნავ მაინც პატიოსნება და სინდისნამუსშენარჩუნებული მტერიც კი არ გაუკეთებდა ადამიანს.

მიმიხვდებით, ალბათ, ამას რატომაც ვამბობ. საქმე ის არის, რომ ექსპრეზიდენტის შეიარაღებული მომხრეების თარეშმა და მათ ასალაგმავად სამთავრობო ჯარების მიერ ჩატარებულმა ოპერაციამ სამეგრელოს რეგიონში ყველაზე მეტად სენაკი დააზარალა. რაიონში მთლიანად დაინგრა და დაიწვა 180-მდე საცხოვრებელი სახლი, ათასამდე კი მძიმედ დაზიანდა. დღემდე ფაქტობრივად ვერაფრით დავეხმარეთ ამ გაჭირვებულ ხალხს.

გულწრფელად გეუბნებით, რაღაცნაირად დამნაშავედ ვგრძნობ თავს მათ წინაშე, თითქოს ჩემი ბრალი იყოს ყველაფერი. თანაც უზომოდ დიდი მადლობელი ვარ მათი გაგებისთვის, საქმისადმი შეგნებული მიდგომისა და სოციალური მოთმინება-სულგრძელობისთვის. რამდენი გაჭირვება გადაიტანეს. სამოქალაქო ომის საშინელებებს გვიანი შემოდგომა-ზამთრის პერიოდში საოცარი ენერგოკრიზისი, სიბნელე და სიცივე, კვების პროდუქტების დეფიციტი და უწყლობაც დაერთო. წლევანდელ პირველ კვარტალში რაიონში პური საერთოდ არ გამომცხვარა. ენერგოკრიზისისა თუ სხვა ობიექტური ხელშემშლელი მიზეზების გამო რაიონისთვის გამოყოფილი პურის ფქვილის ფონდი 60 პროცენტითაა ავითვისეთ... რომელი ერთი ჩამოვთვალო. ხალხმა ყველაფერი ეს მაინც მოითმინა და გადაიტანა.

და ახლა, როდესაც თითქმის გამოვდიოდით კრიზისიდან, ცხოვრება ნელ-ნელა, მაგრამ მაინც დგებოდა ჩვეულ კალაპოტში, ამოქმედდა საწარმოები, შედარებით რეგულარულად დაიწყო პურის ცხობაც (თუმცა, ფქვილის უხარისხობის გამო პურიც საკმაოდ უხარისხო გამოდგა, რაც მშრომელთა უკმაყოფილებას იწვევს), მოკლედ, ასე თუ ისე, წელში რომ ვიმართებოდით, სწორედ მაშინ ვიღაცამ ასე მუხანათურად ჩაგვცა ზურგში მახვილი! სხვაგვარად ამ ფაქტს, თუ ის მართლა დივერსია იყო, ვერ მოვნათლავ...

ამ შენობის დაწვა მართლაც დიდი დანაკლისია ჩვენთვის, მაგრამ ადგილობრივი და მეზობელი რაიონების მეხანძრეთა დახმარება და ვაჟკაცობა რომ არა, ზარალი განუზომლად მეტი იქნებოდა — დაიწვებოდა გამგეობის გვერდით მდებარე თეატრის უნიკალური შენობა, სამუსიკო სკოლა, სასტუმრო, რომელშიც 350-მდე ლტოლვილი ცხოვრობს, სხვა ახლომდებარე ნაგებობებიც. თან ამინდმაც დაგვინდო, საბედნიეროდ აქაურობისთვის არცთუ იშვიათი ძლიერი ქარი არ იყო, თორემ მეხანძრეებიც ვერაფერს გახდებოდნენ.

ყურადღება და თანადგომა არც სხვამხრივ მოგვკლებია. ხანძრის დღესვე რაიონში ჩამოვიდნენ რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ოთარ ფაცაცია, სახელმწიფოს მეთაურის აპარატის რეგიონული მართვის სამსახურის ხელმძღვანელი თემურ ფიფია, ზუგდიდის, წალენჯიხის, ხობის, ჩხოროწყუს, აბაშის, მარტვილის, სამტრედიის გამგებლები და ფოთის მერი, დაგვიკავშირდა და მხარდაჭერა აღგვითქვა ქუთაისის მერმა თემურ შაშიაშვილმა. გვეწვივნენ რეგიონის მსხვილი საწარმოების ხელმძღვანელებიც — ფოთის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგურის უფროსი ვალერი გეგიძე, ფოთის წისქვილკომბინატის დირექტორი უშანგი გეგენავა, ზუგდიდის ფაიფურის ქარხნის დირექტორი გივი სოსელია და სხვები, რომლებმაც ასევე პრაქტიკული დახმარების გაწევა აღგვითქვეს...

ეს შენობა 30-იან წლებშია აგებული. მას შემდეგ რამდენჯერმე ჩაუტარდა რეკონსტრუქცია-გაფართოების სამუშაოები. ყველაფერ ამაში სენაკელთა რამდენიმე თაობის შრომაა ჩადებული და ამიტომაც არის, რომ ისინი ასე მტკივნეულად განიცდიან მომხდარს. პრინციპულად მოითხოვენ ბოროტმოქმედთა გამოვლენას და, თუმცა თავადაც უჭირთ, როგორც მატერიალურ, ისე ფიზიკურ დახმარებასაც გვპირდებიან შენობის აღდგენაში. ვნახოთ რას დაადგენს ექსპერტიზა...

დღესდღეობით კი, თავადაც ხედავთ, რა დღეშიც ვართ. რაიონში ახლა 21 ათასამდე ლტოლვილია. ქალაქის ცენტრში მდებარე ყველა შენობა-ნაგებობაში, სადაც შეიძლებოდა დროებით შეგვეფარებინა თავი და დაგვეწყო მუშაობა, ეს გაუბედურებული ადამიანები არიან განთავსებულნი. ამდენად, თავისუფალი ოთახების, სკამებისა და მაგიდების, მუშაობისთვის საჭირო სხვა აუცილებელი ატრიბუტების მეტისმეტი დეფიციტია. ცალ-ცალობით ვაგროვებთ მათ. გამგეობა დროებით, ალბათ, ელექსელთა სამმართველოს რამდენიმე ოთახში განლაგდება, სოფლის მეურნეობის სამმართველოს 36 მუშაკი ქალაქვაჭრობის სამმართველოს 4 პატარა ოთახშია შეყუჟული, ასევეა სხვა სამსახურებიც, ხალხი მიმოფანტულია...

* * *

ვფიქრობ, მართალია გამგებელი. ეს ფაქტი, რომელმაც მუშაობის რიტმიდან ამოაგდო რაიონის ხელმძღვანელი სამსახურები და თუნდაც დროებით, მაგრამ მაინც პარალიზებული გახადა მათი საქმიანობა, სხვა არაფერია, თუ არა ზურგში მახვილის ჩაცემა. რაიონის პროკურატურამ მომხდარი ფაქტის გამო ოპერატიულად აღძრა სისხლის სამართლის საქმე, ჩაატარა ექსპერტიზა. სხვა აუცილებელი საგამოძიებო სამუშაოები. ვნახოთ, რას გვიჩვენებს დრო და გამოძიება...

* * *

სენაკს, ამ უწინარესად თავისი ხალხით ლამაზ, მდიდარი შრომითი და კულტურული ტრადიციებით, შესანიშნავი ინტელიგენციით ცნობილ რაიონს, ახლო წარსულში გულთბილი ხუმრობით სამეგრელოს პეტერბურგს უწოდებდნენ ხოლმე. დღეს კი, ყველასთვის ცნობილი მიზეზების გამო, ისევე როგორც საქართველოს თითქმის ყველა სხვა ქალაქსა და რაიონს, მას შეცვლილი აქვს იერი. მაგრამ, თუმცა ძალიან უჭირთ, ერთი რამ მაინც ძველებურად იგრძნობა რაიონში: სენაკელებს კვლავ ადრინდულად უყვართ და ენატრებათ შრომა. (თუმცა ამის ყველა პირობა ჯერჯერობით არა აქვთ) და ძველებურადვე (თუ უფრო მეტადაც არა) ეთაყვანებიან თავიანთ სამშობლოს — თავისუფალ, განუყოფელ საქართველოს.

ამის დასტურია თუნდაც იმ ერთი ჭაღარა მამაკაცის სიტყვები, რომელმაც განზე გამიხმო და თავისი დიდი გულისტკივილი გამანდო (თავად ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა — ახალს და, მით უფრო, ორიგინალურს არაფერს ვამბობ, მთელი სამეგრელო ასე ფიქრობს, და მარტო ჩემი გვარის დასახელება რა საჭიროაო:) — მთლად მართალი არც სამეგრელოა დანარჩენი საქართველოს წინაშე, მაგრამ არც ის დანარჩენი საქართველოა სამეგრელოსთან ბოლომდე პირნათელი. თუმცა ამას ყველაფერს დრო წარმოაჩენს. მე კი ახლა ერთი რამე მინდა გითხრათ: ზოგიერთები პრესითა თუ ტელევიზიით რომ გამოდიან და მთელ სამეგრელოს ლაფში სვრიან, საქართველოს მოღალატეებად და გამთიშველებად გვთვლიან, ღმერთი არა გწამთ? თუ სამეგრელოში მართლაც არის რამდენიმე ტვინგაცხელებული თუ ჭკუანაღრძობი, ვინც შესაძლოა სეპარატიზმს ქადაგებდეს, ხელისუფლება და მისი სათანადო ორგანოები სად არიან, დროულად რად არ ალაგმავენ მათ და მთელ სამეგრელოს რად ალანძღვინებენ? ჩვენებური ჭკვიანი კაცის ნათქვამია, თუ გინდა ადამიანს გული მოუკლა და წონასწორობიდან გამოიყვანო, ისეთი რამე უნდა დააბრალო, გონებაში არასოდეს რომ არც გაუვლია. ასე გვექცევიან სწორედ ჩვენც და არ ვარგა ეს. სამეგრელოსგან დანარჩენი საქართველოს ღალატი არასოდეს ყოფილა და არც იქნება, ტყუილად გულს ნუ ვუკლავთ ერთმანეთს. სწორედ ასე გადაეცით ჩვენს უფროსობასო, გვთხოვა ბოლოს.

* * *

ხალხი ნელ-ნელა უბრუნდება ცხოვრების ჩვეულ რიტმს. შეძლებისდაგვარად დაჩქარებული ტემპით მიდის სოფლის საგაზაფხულო სამუშაოები, ამუშავდა ხალიჩების კომბინატი, ნაწილობრივ ამოქმედდა მრეწველობის ადგილობრივი საწარმოები, ჩაის ფაბრიკები მზად არის სეზონისთვის, გამართულად მუშაობს სამშენებლო აგროფირმა „სენაკი", სკოლებში მეცადინეობები მიმდინარეობს, საგრძნობია რაიონის პოლიციის გააქტიურება და კრიმინოგენული სიტუაციაც უმჯობესდება...

მუხანათი ადამიანი უწინარესად იმით არის შემზარავი და აშკარა მტერზეც უარესი, რომ ხელსაყრელ მომენტამდე ოსტატურად ინიღბება, თავს მეგობრად მოგაჩვენებს, მაგრამ თუ შეგატყო, რომ ფეხზე წამოსადგომად ემზადები და წელშიც იმართები, მაშინვე ჩაგცემს ზურგში მახვილს. თანაც ფარულად. ასეა დღეს ჩვენთან...

ყველაფრით ჩანს, ბევრს (სამწუხაროდ, ბევრზე ბევრსაც!) ხელს არ აძლევს საქართველოში ამ ბოლო დროს სტაბილიზაციისა და ნორმალური ყოფისთვის გადადგმული ნაბიჯები, ამღვრეული წყლის დაწმენდა და... მუხანათი რის მუხანათია, თავისი არ გააკეთოს...

თუ ბევრ სხვა გაჭირვებასთან ერთად ამ სენსაც დროულად არ მოვუარეთ, სასურველ ცხოვრებამდე სენაკელებსაც და, საერთოდ, მთელ საქართველოსაც ძალიან დიდი და უმძიმესი გზა დარჩებათ გასავლელი...

რუსლან რუსია.

მერვე სვეტი

„იბერიის" ლენტიდან

აფხაზეთის სვანეთი. საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურიდან იტყობინებიან, რომ გასული დღე-ღამის განმავლობაში ლათას, ხეობაში საბრძოლო მოქმედებებს ადგილი არ ჰქონია. მხარეები ინარჩუნებენ ადრინდელ პოზიციებს.

ნიუ-იორკი. გაიმართა გაეროს უშიშროების საბჭოს წევრთა არაფორმალური შეკრება, რომელზეც განიხილეს აფხაზეთის საკითხი. შეკრება დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა. დეტალები უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომაზე გაირკვევა, რომლის ჩატარება მოსალოდნელია უახლოეს მომავალში.

მოსკოვი. რადიოსადგურ „თავისუფლების" ცნობებზე დაყრდნობით „იბერია" იტყობინება, რომ 12 მაისს აფხაზთა მხარის დელეგაციის წევრმა აბბამ იმედი გამოთქვა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგების თაობაზე მოსკოვში მიმდინარე მოლაპარაკებების მსვლელობისას მიღწეულ იქნება შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტისა და ჯარების დაშორების შესახებ.

აბბამ განაცხადა, რომ დელეგაციებმა ხელი მოაწერეს დოკუმენტს საკოორდინაციო კომისიის შექმნის თაობაზე. კომისია დასაქმებული იქნება ელექტრომომარაგების, ტრანსპორტისა და კომუნიკაციის პრობლემის მოგვარებით.

აბბას თქმით, მხარეებმა მიაღწიეს შეთანხმებას აფხაზეთის რეგიონში დსთ-ს სამშვიდობო ძალების ჩარევის შესახებ აფხაზეთის კონფლიქტში. ამჟამად, აფხაზეთის რეგიონში გაეროს რამდენიმე მეთვალყურე იმყოფება. საქართველოს რესპუბლიკის დელეგაცია მოლაპარაკებათა მსვლელობისას მოითხოვს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვას, აფხაზთა მხარის დელეგაცია კი — აფხაზეთის სუვერენიტეტს.

ბათუმი. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ასლან აბაშიძემ ერთ-ერთი რუსული გაზეთის კორესპონდენტს განუცხადა, რომ სიტყვა „აჭარლის" ხმარება, რომელიც ეროვნების აღსანიშნავად გამოიყენება რუსულ პრესაში, არ არის გამართლებული. აჭარლები ისეთივე ქართველები არიან, როგორც საქართველოს სხვა კუთხის მაცხოვრებლები.

მეჩაიეები იმედიანად იწყებენ

ზუგდიდის რაიონის მეჩაიეებმა წლეულს 40 200 ტონა ჩაის ხარისხოვანი ნედლეული უნდა მიჰყიდონ სახელმწიფოს. მიუხედავად მრავალი პრობლემისა, ისინი მაინც იმედიანად ხვდებიან ჩაის კრეფის სეზონის დაწყებას. 10 მაისიდან ჩაის ფოთლის შერჩევითი კრეფა უკვე დაიწყეს ნარაზენისა და ზეცერის ჩაის სახელმწიფო მეურნეობებმა (დირექტორები — თამაზ ბერიშვილი, ეთერ თოდუა), რომლებმაც ხარისხოვანი ჩაის ფოთლის პირველი ტონები გადასამუშავებლად უკვე მიიტანეს ნარაზენის ჩაის ფაბრიკაში. რაიონის ჩაის ფაბრიკები მზად არიან შეუფერხებლად მიიღონ და გადაამუშაონ ჩაის ნედლეული.

ოდიკ ჟუხილავა.
„სრ" საკ. კორ.

ჟურნალისტების საყურადღებოდ

საქართველოში აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის ჰ. ალიევის ოფიციალური ვიზიტის გასაშუქებლად ჟურნალისტების აკრედიტაცია მოხდება საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესცენტრში.

განცხადებები მიიღება 18 მაისის 14 საათამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწარმოს ტკივილი

ზარალს ზარალი ემატება

ვიდრე პარლამენტში კრივის, კარატესა და სამბოს სექციები ჩამოყალიბდება, ვიდრე ჩვენი პარლამენტარები ორთაბრძოლის კლასიკურ ილეთებს დაეუფლებიან, ხელგამწარებულ სახელმწიფო მეთაურს კი არბიტრის ურთულესი და უძნელესი მოვალეობისაგან გაათავისუფლებენ, ჩვენ იმ საწარმოთაგან ერთ-ერთს ვეწვიოთ, ვისი პრობლემებიც „საპარლამენტო სპორტული ასპარეზობების“ გამო ყველას ყურადღების მიღმა რჩება.

სიტყვა „ელექტრო“ კარგახანია სიცივისა და სიბნელის ასოციაციას იწვევს, ამიტომ თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატი“ (გენერალური დირექტორი — გურამ გზირიშვილი) ჩვენს ყოფაში სითბოსა და სინათლის შემოტანას გულმოდგინედ ცდილობს.

რა გზით?

საწარმომ წლეულს თხევადი აირის საფასურად თურქმენეთს 225 მილიარდი კუპონის ნაწარმი უნდა მიაწოდოს.

როგორ? — საკითხავი აი, ეს არის!

შარშან „ელექტროაპარატმა“ თხევადი აირის მომწოდებელს 4 მილიარდ 200 მილიონი კუპონის ნაწარმი გაუგზავნა, ეს თანხა კი დეპარტამენტ „საქგაზიდან“ დღემდე არ მიუღია.

„საქგაზი“ ვალში გასაცემ კუპონებს რომ არ აცხოვებს და თაროებზე არ აწყობს, ამას რა მიხვედრა უნდა, მაგრამ ძნელი მისახვედრი ის გახლავთ, საწარმოო გაერთიანება პროდუქციის წარმოებას „შიშველი ხელებით“ როგორ ახერხებს.

მაკონტროლებელ ორგანოებს „ლუკმას არ გავუყოფ“ და „ფირმის საიდუმლოს“ არ ჩავუღრმავდები, რაც ზედაპირზე მოჩანს, „ელექტროაპარატის“ კოლექტივის ჭირთათმენისა და გულმოდგინების საილუსტრაციოდ ისიც კმარა. 2500 მუშას ორ თვეზე მეტია ხელფასი არ მიუღია, მაგრამ დღეისათვის თურქმენეთში გასაგზავნი 45 მილიარდი კუპონის პროდუქცია მაინც კეთილსინდისიერად დამზადდა.

ვის ელოდება ეს ნაწარმი? — პატრონსა და გულშემატკივარს!

თურმე, ნუ იტყვით, რკინიგზისა და საბაჟო დეპარტამენტები ტვირთის გასაგზავნ თანხებს წინასწარ ითხოვენ. რას იზამთ, ყველა თავისას უმოწყალოდ ითხოვს, თურქმენთა „გულმოწყალებაზე“ დასაფიქრებლად კი არავის სცალია. „საქგაზი“ ვალს ვერ უხდის „ელექტროაპარატს“, „უფულო კაცი კი ქვაზე მაგარია“ და საწარმოსა და რკინიგზის ურთიერთობა უფულოდ ვერ „შერბილდა“. ამ პროდუქციის მიუწოდებლობას კი რაც მოჰყვება, ყველამ კარგად ვიცით...

შარშანდელი თანხები ხომ არ ელირსა, ესეც არ აკმარა განგებამ და „ელექტროაპარატის“ ადმინისტრაციას საგადასახადო ინსპექცია რისხვად მოევლინა. წინათ საწარმოები საშემოსავლო გადასახადით პროდუქციის სარეალიზაციო თანხიდან იბეგრებოდა, ახლა კი (რატომღაც ყველაფერი გაუკუღმართდა), პროდუქციის გაგზავნის დღიდან იბეგრებიან. ახალი დადგენილების თანახმად „ელექტროაპარატსაც“ თურქმენეთში გაგზავნილი ნაწარმისათვის მისაღები თანხიდან (ბიუჯეტში ჩასარიცხი 14 პროცენტის გადამეტებით) ყოველდღიურად 0,03 პროცენტის ოდენობით საურავი დაუწესეს. იანვრიდან დღემდე ამ თანხამ 98 მილიონ კუპონს მიაღწია. საწარმოს ისედაც უამრავი ხარჯი აქვს, ზარალს კი დღითიდღე ზარალი ემატება, რომელსაც სულ მალე ველარ გაუმკლავდება და გაჩერდება...

„ელექტროაპარატი“ ერთ-ერთი იმ საწარმოთაგანია, რომლის პრობლემები რესპუბლიკის თხევადი აირით მომარაგების პრობლემას უკავშირდება და მის გადასაჭრელად (ფიზიკური ძალების დემონსტრირების ნაცვლად) ყველას, კანონმდებელსაც და აღმასრულებელსაც, გონებრივი რესურსების ხარჯვა მოუწევს.

ლეილა კოშკაძე.

სარედაქციო ფოსტიდან

ვისწავლოთ მეზობლებისგან

ალბათ, ბევრი თბილისელი შეამჩნევდა, რომ მთელი წლის განმავლობაში ჩვენი ქალაქის თითქმის ყველა ბაზართან და იქაც, სადაც ხალხი ინტენსიურად მოძრაობს, იყიდება ნედლი და მშვენივრად შებოლილი თევზი. მისი გამყიდველები ძირითადად სომხეთის მოქალაქეები არიან. რასაკვირველია, კარგ საქმეს უნდა მივესალმებოდეთ და ხელს ვუწყობდეთ ყველანაირად, მაგრამ აქ ერთ მტკივნეულ პრობლემაზე მინდა შევჩერდე. ვინც უბრალოდ მაინც იცნობს საქართველოს გეოკლიმატურ პირობებს, დამეთანხმება, რომ წყლის რესურსებით საქართველოს სომხეთი კი არა, ბევრი სხვა ქვეყანაც ვერ შეედრება, მაგრამ ერთი სევანის ტბა აკეთებს იმას, რასაც ვერ აუდის ჩვენი რამდენიმე ათეული მდინარე, რომ არაფერი ვთქვათ ბუნებრივ თუ ხელოვნურ წყალსატევებსა და შავ ზღვაზე. სამწუხაროდ, საქართველოს წყლის რესურსები სანაქებოდაც არ არის ათვისებული, ამიტომ არც თევზია და არც მისი პროდუქცია.

საინტერესოა, გვყავს თუ არა საქართველოში იხტიოლოგები და თუ არა გვყავს, იქნებ მოვიწვიოთ და მოვამრავლოთ თუნდაც უბრალო თევზის სახეობები, რომლებიც უფრო პროდუქტიულია.

ხანდაზმულ ადამიანებს, ალბათ, ეხსომებათ სევანის განთქმული იშხანი, რომელიც არ გამოირჩეოდა სწრაფი გამრავლების უნარით, მაგრამ სომეხი ხალხი შეელია სევანის სიმბოლოს ადვილად მოსავლელი და სწრაფად მზარდი სქელშუბლასი და სიგის სასარგებლოდ. რამდენიმე ხანში ამ სახეობის თევზის პროდუქციამ დაიპყრო არა მარტო სომხეთის ბაზრები, არამედ საქართველოსაც გადმოსწვდა და ნაწილი რუსეთშიც გადის. ამით იმისი თქმა მინდა, რომ უნდა გავუფრთხილდეთ თევზის ენდემურ ჯიშებს, მაგრამ პროდუქტიული, სწრაფად მზარდი თევზის მომრავლებაზეც უნდა ვიფიქროთ. ეს დამშეულ ხალხს ცოტათი მაინც გაუუმჯობესებს პირობებს.

ჯემალ ნოზაძე.

დაასახელეს კონკურსის გამარჯვებულები

შეჯამდა შედეგები კონკურსისა „რა იცით ქართული კინოს შესახებ“, რომელიც მოაწყვეს კინოკონცერნმა „ქართულმა ფილმმა“ და საქართველოს რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტმა. კონკურსის, რომელიც უკვე მეორეჯერ მოეწყო, მიზანია გამოავლინოს უმაღლესი სასწავლებლის აბიტურიენტთა შორის როგორია ეროვნული კინემატოგრაფის ისტორიისა და დღევანდელობის ცოდნა, გაუღვივოს ინტერესი კინოხელოვნებისადმი.

ჟიურის გადაწყვეტილებით, რომელსაც ცნობილი კინოკრიტიკოსი ო. თაბუკაშვილი მეთაურობს, პირველი ადგილი გაიყვეს დმანისელმა მარიამ თაბაგარმა და თბილისელმა ბესიკ ქემოკლიძემ, მეორე ადგილი არავისათვის მიუკუთვნებიათ, მესამე ადგილი დაიკავა ბაღდათელმა ელენე ჩხეიძემ.

პასუხი ოპონენტებს

„ივერია-ექსპრესში“ გამოქვეყნებული წერილის „საჭიდაო ქვის“... გამო

ჩვენს წერილში ყველაფერზე პასუხია გაცემული, ასე რომ ხელმეორედ პასუხის გაცემა წყლის ნაყვად მიგვაჩნია.

ყურს ჭრის ერთადერთი უხერხული ადგილი რედკოლეგიის წევრთა პასუხში, „ვინ იგულისხმებოდა წერილში ნახსენებ „ცრუ დიმიტრიში“-ო. ეს კითხვა არ უნდა დასმულიყო, „ცრუ დიმიტრიში“ ვინც იგულისხმება, ყველაზე კარგად ამ პასუხის ავტორებმა იციან, რა თქმა უნდა ის კაცი, ვინც ფარად აიფარეს და „სამშობლოს“ დირექტორად გაითვალისწინეს...

მაშ, რა შუაშია კობა იმედაშვილი და თამაზ კვაჭანტირაძე?

თქვენ წარმოიდგინეთ — „ცრუ დიმიტრიში“ არ იგულისხმება არც გულიკო ბაზარულ, არც ფიქრია ჩიხრაძე, არც ზურაბ კიკნაძე და არც ზურაბ გაიპარაშვილი, არც კიდევ ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილი.

ეს კარგად იციან მოპასუხეებმა, მაგრამ ვილაც ლაფში ხომ უნდა ამოსვარონ?

დაბოლოს, როდის მორჩებით ჩვენს უთავბოლოსა და ბოლშევიკურ შემოწმებებს, ნუთუ პატრონი არა გვყავს? ნუთუ თქვენია მხოლოდ ეს ქვეყანა?

ჯანსუღ ჩარკვიანი,
რომან მიმინოშვილი,
შოთა ნიშნიანიძე.

პრობლემა

საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალების მშენებლობის რთულ ფარვატერებზე

საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალები, როგორც შეიარაღებული ძალების სტრუქტურული შენაერთი, შეიქმნა მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 30 აპრილის № 484/6 დადგენილებით ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების ინტერესებისათვის, კერძოდ, ზღვის მიმართულებით მოწინააღმდეგის აგრესიის აღკვეთის მიზნით.

შავ ზღვაზე 312 კილომეტრიანმა სასაზღვრო ზოლმა, ქვეყნის ეკონომიკისა და თავდაცვის საქმეში ჩვენი ნავსადგურების უდიდესმა მნიშვნელობამ განაპირობეს სამხედრო-საზღვაო ძალების რიგი ამოცანები, რომელთა შორის უმთავრესია:

სამხედრო-საზღვაო ძალების ზონაში შემოჭრილი აგრესორის ხომალდებისა და სხვა ძალების განადგურება;

საომარი ოპერაციებისათვის მზადებისა და მათი მსვლელობის პერიოდში საზღვაო გადაზიდვების უზრუნველყოფა და დაცვა;

საზღვაო დესანტის გადასხმა შეიარაღებული ძალების მოგერიების ოპერაციებში;

სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ზღვისპირა ზონების, სამხედრო და სავაჭრო ნავსადგურებისა და სხვა მნიშვნელოვანი ობიექტების დაცვა შეიარაღებული ძალების მოქმედების საერთო გეგმის ფარგლებში.

ჩამოთვლილი ამოცანები ძირითადად განსაზღვრავენ სამხედრო-საზღვაო ძალების ადგილსა და როლს ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში, როგორც მისი ერთ-ერთი ძირითადი სახეობა.

საქვეყნოდ ცნობილია, რომ საქართველოს სამხედრო დოქტრინა თავდაცვითია, მაგრამ, ამავე დროს, არსებული ვითარების გათვალისწინებით, მას უნდა ჰყავდეს შეიარაღებული ძალები, რომლებიც შესძლებენ აგრესიის საიმედო მოგერიებას. ეს არის შეიარაღებული ძალების უმთავრესი მიზანი, რომლის შესრულება ზღვის მიმართულებით უნდა უზრუნველყონ სამხედრო-საზღვაო ძალებმა. წინააღმდეგ შემთხვევაში თანამედროვე ვითარებაში საქართველოს სუვერენიტეტზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

ცხადია, რომ სამხედრო-საზღვაო ძალების მშენებლობა უნდა წარიმართოს იმ მიმართულებებით, რომლებმაც საბოლოოდ უნდა მოგვცეს ჯარების სხვა სახეობებთან მიმართებაში გაწონასწორებული სტრუქტურა დასახული ამოცანების შესრულების აუცილებლობის, სხვადასხვა გვარეობის ძალების ოპტიმალური თანაფარდობის, ბაზირების პუნქტების, ზურგისა და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების გათვალისწინებით.

ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური პირობების მიუხედავად, შეიძლება მოკლედ აღვნიშნოთ ფლოტის მშენებლობის პროცესში განხორციელებული ზოგიერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება:

დამუშავებულია და ძირითადად მოწონებულია სამხედრო-საზღვაო ძალების მშენებლობის გეგმა (2002 წლამდე), რომელიც მოიცავს 5 ეტაპს. გეგმაში გათვალისწინებულია გემთმშენებლობის პროგრამა (საქართველოს გემთმშენებელი ქარხნების სიმძლავრეების გათვალისწინებით), კადრების მომზადება, ბაზირების პუნქტების სრულყოფა, რიგი სამსახურების შექმნისა და სრულყოფის სამუშაოები, სახომალდო შენაერთებისა და საზღვაო ქვეითი ჯარის შექმნა და სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებები.

გემთმშენებლობის პროგრამის ეტაპობრივი შესრულება, მაგალითად უკვე 1995 წელს საშუალებას მოგვცემს შევქმნათ საბრძოლო ხომალდების საპატრულო-სადარაჯო დივიზიონი.

ამჟამად უკვე გამოიკვეთა სამხედრო ფლოტის ძირითადი სტრუქტურა.

საქართველოში პირველად გაიხსნა სამხედრო-საზღვაო ფაკულტეტი, როგორც გაერთიანებული სამხედრო აკადემიის ფილიალი (ბათუმის საზღვაო აკადემიასთან), რომელიც ფლოტის მაღალი კვალიფიკაციის ოფიცრებს მოამზადებს. ამჟამად საზღვაო ოფიცრის რთულ სპეციალობას ეუფლება 36 მსმენელი.

სისტემატიურად აღვჭურავთ სამხედრო-საზღვაო ძალების განკარგულებაში მყოფ გემებს საარტილერიო და რაკეტული დანადგარებით, რამაც გარკვეულად აამაღლა ჩვენი ძალების საბრძოლო პოტენციალი.

სამხედრო-საზღვაო ძალების სარდლობა დიდ ყურადღებას უთმობს ფლოტის ჰიდროგრაფიული სამსახურის ჩამოყალიბებასა და სრულყოფას, როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო, მათ შორის უცხოეთის გემების სანავიგაციო უშიშროების უზრუნველყოფისათვის. მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ეს სამსახური რესპუბლიკაში ვალუტის შემოსვლის მნიშვნელოვანი წყაროა, რომელიც თვით სამხედრო-საზღვაო ძალებში შეიძლება მოხმარდეს ხომალდების, სხვა შეიარაღების შეძენასა და სარემონტო სამუშაოებს.

სამხედრო-საზღვაო ძალებში ხორციელდება მეცნიერული მეთოდების დანერგვა მშენებლობისა და საბრძოლო მომზადების საკითხებში. დამუშავებულია მეცნიერული ანგარიშები აფხაზეთის ომში სამხედრო-საზღვაო ძალების მოქმედების შესახებ.

უნდა ითქვას, რომ ფორმირების მძიმე პირობების მიუხედავად, შეზღუდული რაოდენობის საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალებმა, აქტიური მონაწილეობა მიიღეს აფხაზეთში საომარი მოქმედების ყველა ეტაპსა და ზონაში: ძალების მოქმედება აფხაზეთის ომში ხასიათდებოდა მართვის საკმარისი ორგანიზაციითა და აქტიურობით, სხვა სახეობის ჯარებთან ურთიერთმოქმედებით აღკვეთილია მოწინააღმდეგის დესანტის გადმოსხმის პრაქტიკულად ყველა შემთხვევა (გარდა ტამიშის დესანტისა, რომელიც სპეციალურ გამოძიებას მოითხოვს); ორგანიზებულად მიმდინარეობდა ზღვაზე სადაზვერვო მონაცემების მოპოვება; ფრონტისათვის ზღვით გადაყვანილია ათასობით მებრძოლი, გადაზიდულია ასობით ჯავშან-ტექნიკა, ავტოტექნიკა და იარაღის კომპლექსები, ათასობით ტონა ტყვია-წამალი, საწვავ-საცხები მასალები, სურსათი. საომარი მოქმედების ზონებიდან სხვადასხვა პერიოდში გამოყვანილია ათობით ათასი ლტოლვილი, დაჭრილები. გემების დატვირთვისა და გადაყვანა-გადაზიდვის დროს დანაკარგები პრაქტიკულად არ გვქონია.

რასაკვირველია, სამხედრო-საზღვაო ძალების მშენებლობაში არის ნაკლოვანებები, რაც დამახასიათებელია მთლიანად შეიარაღებული ძალებისათვის თანამედროვე რთულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ პირობებში. სისტემატურად ვერ სრულდება გემთმშენებლობის გრაფიკი (ბათუმის გემთმშენებელ ქარხანაში), იგრძნობა კვალიფიციური, ფლოტში სამსახურის გამოცდილების მქონე ახალგაზრდა ოფიცრების მწვავე სიმცირე, არ გვყოფნის იარაღი, დიდი დარღვევებია სამობილიზაციო საკითხებში, დაუშვებლად დაბალ დონეზეა პირადი შემადგენლობისა და ნაწილების ზურგის მომარაგება და სხვა. ეს ნუსხა შეიძლება გაგრძელდეს, მაგრამ ჩვენს წერილში მკითხველისა და დაინტერესებულ პირთა ყურადღება გვინდა მივაპყროთ ერთ საკითხს, რომელიც სამხედრო-საზღვაო ძალებისათვის მოულოდნელად წამოიჭრა ამ ბოლო დროს. **საქმე ეხება ფოთის ნავსადგურის ხელმძღვანელობის მიერ თავდაცვის სამინისტროს გვერდის ავლით, სახელმწიფო დონეზე შეთავაზებულ წინადადებას, სამხედრო-საზღვაო ძალების კუთვნილი სამხედრო პორტის მთელი ტერიტორიის (49 ჰა) ფოთის ნავსადგურთან შეერთების შესახებ მისი რეკონსტრუქცია-გაფართოების მიზნით.**

ეს წინადადება არა მარტო ძირფესვიანად ეწინააღმდეგება საქართველოს გაწონასწორებული შეიარაღებული ძალების შექმნისა და განვითარების კურსს, არამედ ეჭვქვეშ აყენებს მისი ერთ-ერთი მთავარი სახეობის — სამხედრო-საზღვაო ძალების არსებობას. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ სამხედრო-საზღვაო ძალების ფუნქციონირება, მით უმეტეს, მათი განვითარების პერსპექტივა, წარმოუდგენელია და შეუძლებელიც ფოთის სამხედრო ნავსადგურის აუმოქმედებლად. უფრო მეტი, სამხედრო ნავსადგური არის ის საძირკველი, საყრდენი, რომელზეც ქართული სამხედრო-საზღვაო ფლოტი უნდა აშენდეს.

როგორც ცნობილია, ფოთის სამხედრო-საზღვაო ბაზის მშენებლობა დაიწყო 1941 წელს. მას შემდეგ, რაც სევასტოპოლი გერმანელმა ფაშისტებმა ჩაიგდეს ხელში, ფოთი შავი ზღვის ფლოტის ძირითადი ბაზა გახდა და დიდი როლი შეასრულა სამამულო ომის პერიოდში.

დროთა განმავლობაში ფოთის სამხედრო ნავსადგური იქცა სტრატეგიული მნიშვნელობის უნიკალურ ტექნიკურ ნაგებობად, როგორც გემების მისადგომების, სარემონტო ბაზის, სასწავლო ცენტრისა და ყოველმხრივი უზრუნველყოფის ერთიანი კომპლექსი. თავისი ინფრასტრუქტურითა და შესაძლებლობებით ფოთის სამხედრო ნავსადგური პრაქტიკულად აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს.

ფოთის სამხედრო ნავსადგურის, როგორც სამხედრო-საზღვაო ძალების ბაზირების ერთიანი კომპლექსის მნიშვნელობაზე უნდა აღინიშნოს:

ფოთის სამხედრო ნავსადგურის ხომალდების მისადგომების საერთო სიგრძე 600 მეტრია, ზღვის დონე მისადგომის ადგილებზე 4-8 მ. ამ პარამეტრების მიხედვით მას შეუძლია საზღვაო ბრიგადის ყველა ხომალდის ბაზირება ხომალდთა შემადგენლობის შემდგომი ზრდის გათვალისწინებით, აგრეთვე მცირე და საშუალო წყალწყვის სხვა ხომალდების მიღება.

ნავსადგურში შექმნილია ყველა აუცილებელი პირობა სამხედრო-საზღვაო ძალების ოპერატიული მართვისა და საბრძოლო მომზადების უზრუნველყოფისათვის: აქ განლაგებულია შერეული საზღვაო ბრიგადის, როგორც სამხედრო-საზღვაო ძალების ბირთვის შტაბი, სასწავლო ცენტრი უნიკალური სავარჯიშო და ტექნიკური საშუალებებით, რომელიც გარკვეული ტექნიკური და ორგანიზაციული სამუშაოების შესრულების შემდეგ უზრუნველყოფს ხომალდების ეკიპაჟების მომზადების შემოქმედებით პროცესს, საკუთარი საზღვაო პოლიგონი, როგორც საბრძოლო მომზადების ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილი, სამხედრო-საზღვაო ძალების ჰიდროგრაფიულ-სანავიგაციო, სამედიცინო და სხვა სამსახურები.

ნავსადგურის ხელსაყრელ განლაგებას ხელს უწყობს ფოთის გემთმშენებელი ქარხნის სიახლოვე, ბაზის ტერიტორიაზე შექმნილია სათბობის, წყლის, ელექტროენერგიის, იარაღის მიწოდების თანამედროვე საშუალებები, დიდძალი საწყობები და სათავსები.

ბაზაში განლაგებული სამხედრო-საზღვაო ძალები, იარაღი და ტექნიკური საშუალებები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მთლიანად ფოთის ნავსადგურის, მასში მყოფი საკუთარი და უცხო გემების დაცვის საქმეში. ზღვის მიმართულებით ნავსადგურის დასაცავად ორგანიზებულია წყალქვეშა თვალთვალი ჰიდროაკუსტიკური ბუებით (თანახმად საერთაშორისო საზღვაო კანონებისა). თვით ფოთის სამხედრო ბაზის განლაგება მაქსიმალურად მოხერხებულია ნაღმსაწინააღმდეგო ღონისძიებების ჩასატარებლად, წყალქვეშა დივერსანტების მოქმედების აღსაკვეთად. ორივე ეს მიმართულება შემადგენელი ნაწილია ფოთის ნავსადგურისა და მთლიანად ქალაქის დაცვის საერთო სისტემისა.

დსთ-ს ქვეყნებთან სამხედრო თანამშრომლობის პირობებში საერთო უშიშროების ხელშეკრულების ფარგლებში ფოთის სამხედრო ნავსადგური ერთადერთია, სადაც შესაძლებელია რუსეთისა და უკრაინის ხომალდების დროებითი ბაზირება ზღვაზე საბრძოლო მორიგეობის პროცესში. დაბოლოს, არსებული ბაზა, სამხედრო თვალსაზრისით, მნიშვნელოვნად განაპირობებს სამხედრო-საზღვაო ძალების გვარეობების, კერძოდ სხვადასხვა დანიშნულების ხომალდების დივიზიონების, სანაპირო ნაწილების, საზღვაო ქვეითი ჯარის შეთანხმებულ მოქმედებას ცვალებადი ოპერატიული ვითარების პირობებში.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ ფოთის სამხედრო-საზღვაო ბაზას თავისი მდებარეობით, ბუნებრივი პირობებით, სტრუქტურითა და ფაქტობრივი მდგომარეობით საქართველოს შავიზღვისპირეთში, თუნდაც მიახლოებითი ადეკვატური თვისებებით, ალტერნატივა არ გააჩნია. მეორე მხრივ, აშკარად უაზრობაა სამხედრო ნავსადგურის შექმნა სხვა ადგილას. ჯერ ერთი, ასეთი ბაზის აგებას დიდძალი თანხა და მატერიალური რესურსები დასჭირდება. ამის საშუალება კი, არა თუ ამჟამად, არამედ ახლო მომავალშიც არ გვექნება. კიდეც რომ გამოიძებნოს საჭირო რესურსები, სამხედრო ნავსადგურის აგებას ათობით წელიწადი დასჭირდება, რაც ცალსახად გამორიცხავს სამხედრო-საზღვაო ძალების მშენებლობის გეგმის განხორციელებას. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უცხოური კრედიტები და ინვესტიციები სამხედრო ნავსადგურის მშენებლობის საქმეში ფაქტობრივად გამორიცხულია.

სამხედრო საქმეში გაუთვითცნობიერებულ წრეებში შეიძლება წამოიჭრას წინადადება ფოთის გაფართოებული ნავსადგურის ტერიტორიაზე გარკვეული ხელშეკრულების საფუძველზე სამხედრო-საზღვაო ძალების ბაზირების შესახებ. თუმცა ასეთ მიდგომას არასახარბიელო მორალურ-ეთიკური მხარე აქვს (კარგია, ჯერ წაართვა კანონიერი კუთვნილება, შემდეგ ეს კუთვნილება „იჯარით“ შესთავაზო), მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ აბსოლუტურად შეუძლებელია სამხედრო ძალების მშენებლობა, მისი საბრძოლო მომზადება, ოპერატიული მართვა ფაქტობრივად ომის პირობებში მყოფ ქვეყანაში, საჭირო რეჟიმის უზრუნველყოფა და სხვა სამხედრო კომპონენტები დამოკიდებული იყოს მეორე მხარეზე, რომელიც არა მარტო არ აგებს პასუხს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის, არამედ თვითონ მოითხოვს საიმედო დაცვას.

პროფესიული თვალსაზრისით მიგვაჩნია, რომ **ფოთის ნავსადგურის გაფართოება-რეკონსტრუქციის პროექტი სამხედრო ბაზის ხარჯზე, სამხედრო-ეკონომიკური თვალსაზრისით, მხოლოდ ცალმხრივად არის დასაბუთებული. ერთი შეხედვით, პროექტი მომგებიანია, ითვალისწინებს კომერციის აყვავებას, მაგრამ ფულის გამოდევნებამ ხომ არ აგვაცდინა უფრო მნიშვნელოვან მიზნებს? ნებით თუ უნებლიედ ხდება ქვეყნის საარსებო ინტერესების, მისი თავდაცვისუნარიანობის უგულებელყოფა, ფაქტობრივად სამხედრო-საზღვაო ძალების ნგრევა. ნუთუ, არ გვეყოფა ამდენი ნგრევა? ამ პროექტის განხორციელების მიზანშეწონილობის მთავარი კრიტერიუმი უნდა გამოდიოდეს არა უწყებრივი, არამედ სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან, მისი სიძლიერის, თავდაცვისუნარიანობისა და სუვერენიტეტის განმტკიცებიდან.** სწორედ ამიტომ მიგვაჩნია მიუღებლად ნავსადგურთან სამხედრო ბაზის მიერთება მისი რეკონსტრუქცია-გაფართოების მიზნით, თუმცა არ გამოვრიცხავთ პროექტის სხვა ვარიანტებს, რომლებიც არ ეწინააღმდეგება თავდაცვის ინტერესებს.

ამავე დროს, გვინდა შევახსენოთ დაინტერესებულ პირებს, რომ ჯერ კიდევ 80-იან წლებში ყოფილ საბჭოთა კავშირში შეიმუშავეს შავ ზღვაზე მდინარე სუფსის შესართავთან გიგანტური ნავსადგურის პროექტი, რომელიც მოემსახურებოდა ოკეანის გემებს და პრინციპულად მაღალ დონეზე აიყვანდა საკომუნიკაციო ხაზებს შავ ზღვაზე. ამ რაიონში ნავსადგურის მშენებლობის მიზანშეწონილობა განპირობებული იყო მისადგომებთან ზღვის ფსკერის საკმარისი სიღრმითა და, რაც მეტად მნიშვნელოვანია, ნავთობსადენი მილების ხელსაყრელი განლაგებით. რასაკვირველია ასეთი პროექტის განხორციელების პროცესში სათანადო მუშაობის შესრულების შედეგად საერთო ინტერესების გამონახვით არ არის გამორიცხული მნიშვნელოვანი უცხოური კრედიტები და ინვესტიციები.

შემოთავაზებული, სამხედრო-საზღვაო ძალებისათვის აბსოლუტურად მიუღებელი პროექტის ნაცვლად ეს იქნებოდა ნამდვილად წინდახედული და პატრიოტული თაოსნობა.

ალექსანდრე ჯავახიშვილი,
საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალების სარდალი,
I რანგის კაპიტანი;
გივი ბარკალაია,
სამხედრო-საზღვაო ძალების მთავარი მრჩეველი სამეცნიერო საკითხებში, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, I რანგის კაპიტანი;
ალფრედ სპირიაკოვი,
სამხედრო-საზღვაო ძალების შტაბის უფროსი, I რანგის კაპიტანი;
ამირან შევარდნაძე,
სამხედრო-საზღვაო ძალების მრჩეველი, I რანგის კაპიტანი.



სურათზე: ქ. ფოთის ცენტრალური მოედანი.

ამ ტრიალ

უარს ამბობენ მსოფლიო ჩემპიონატის გაშუქებაზე

ნიუ-იორკი, 12 მაისი. წამყვანი ამერიკული გაზეთების წარმომადგენლები უარს ამბობენ, გააშუქონ ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატი, რომელიც ხუთი კვირის შემდეგ უნდა დაიწყოს ამერიკის შეერთებულ შტატებში და მთელი თვის მანძილზე გაგრძელდება. უარის მიზეზი ის არის, რომ ჩემპიონატის ორგანიზატორებმა ჟურნალისტებს შორის გაავრცელეს ანკეტა, რომლითაც შემდგენნი აძლევენ თანხმობას უსაფრთხოების გარანტიის მიზნით შეამოწმებინონ თავიანთი წარსული გამოძიების ფედერალური ბიუროსა და პოლიციის დოსიეს მეშვეობით.

ასოშიეიტედპრესის სააგენტომ თავის შტატიან თანამშრომლებს ურჩია ხელი არ მოაწერონ ამ ანკეტაზე. „ასოშიეიტედპრესი და მისი რეპორტიორები და ფოტოგრაფები ამგვარ მოთხოვნას მიიჩნევენ სააგენტოს ჟურნალისტთა პირად ცხოვრებაში ყოვლად დაუშვებელ ჩარევად“, — ხაზგასმულია ასოშიეიტედპრესის სპორტული რედაქტორის ტერი ტეილორის წერილში, რომელიც ოთხშაბათს გაუგზავნეს ამერიკის შეერთებულ შტატებში ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეს ალან როტენბერგს. იმათ შორის, ვინც ასოშიეიტედპრესს მხარს უჭერს ამ მოთხოვნაში, არიან ამერიკის შეერთებულ შტატებსა და მთელ მსოფლიოში ისეთი ცნობილი გაზეთები, როგორიცაა „ნიუ-იორკ ტაიმსი“, „ვაშინგტონ პოსტი“, „ბოსტონ გლობი“, „ფილადელფია ინკვაიერერი“, „იუ-ეს-ეი ტუდეი“ და ბევრი სხვა. „ჩვენ გვაქვს გარკვეული ჟურნალისტური პრინციპები და ამას არ გადავუხვევთ“, — განაცხადა ამასთან დაკავშირებით „ნიუ-იორკ ტაიმსის“ სპორტულმა რედაქტორმა ნეილ ამდურმა.

იტარ-ტასის კორესპონდენტმა სცადა მიეღო კომენტარი ამ თემაზე თავისი კოლეგებისაგან ასოშიეიტედპრესიდან, მაგრამ მათ უარი თქვეს განეხილათ საკითხი ანკეტების შესახებ, ურჩიეს მისულიყო თავად ტერი ტეილორთან. სამწუხაროდ, მისი მოძებნის ყოველგვარი ცდის მიუხედავად, ეს ვერ მოხერხდა. როგორც გაირკვა, იგი ამჟამად ნიუ-იორკში არ იმყოფება.

შეჯიბრების ორგანიზატორთა ინფორმაციის თანახმად, ისინი აპირებენ მსოფლიო ჩემპიონატზე აკრედიტაცია მისცენ 7 ათასზე მეტ რეპორტიორს. საგულისხმოა, რომ როგორც ეი-ბი-სი ტელეკომპანიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომელიც 11 თამაშს გადასცემს ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე, მის კორესპონდენტებს ხელი არ მოუწერიათ ამგვარ ანკეტებზე. მაგრამ, როგორც ჩემპიონატის ორგანიზატორთა წარმომადგენელმა განაცხადა, ეი-ბი-სი ტელეკომპანიის ჟურნალისტებისათვის ანკეტები უკვე გაიგზავნა ფოსტით.

მოლაპარაკება სტამბოლში

წლეულს, ივნისში, ან ყველაზე გვიან სექტემბერში, საერთაშორისო კონსორციუმის წარმომადგენლები ბაქოში ჩავლენ, რათა დადონ შეთანხმება აზერბაიჯანის ნავთობის საბადოთა დამუშავების, აგრეთვე მსოფლიო ბაზარზე აზერბაიჯანული ნავთობის ტრანსპორტირების წესებისა და გზების შესახებ, წერს სტამბოლის გაზეთი „მილიეთი“. ამ საკითხებს იხილავენ სამშაბათს სტამბოლში გახსნილ კონსორციუმის ხელმძღვანელობის თათბირზე, რომელშიც აზერბაიჯანის ნავთობის კომპანიის გარდა შედიან ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, ნორვეგიის, თურქეთის უდიდესი ნავთობის კორპორაციები და ფინანსური ინსტიტუტები.

„მილიეთი“ წერს, რომ, მიღწეული მორიგების თანახმად, აზერბაიჯანის მხარე არ დააფინანსებს პროექტებს, რომლებიც იხილება, — მთელ ხარჯებს კისრულობენ საერთაშორისო კონსორციუმში შემავალი საზღვარგარეთული ფირმები. თავდაპირველ სტადიაზე მოპოვებული აზერბაიჯანული ნავთობის 70 პროცენტი მასვე დარჩება, 30 პროცენტი კი კონსორციუმის სხვა წევრებს მოხმარდება. შემდგომში ეს თანაფარდობა შეიცვლება ხოლმე.

გაზეთი აგრეთვე იუწყება, რომ უკვე მიიღეს თანხმობა ხმელთაშუაზღვის ტერმინალებისაკენ, შემდეგ კი თურქეთის ტერიტორიაზე მილსადენით მომხმარებლებისათვის ნავთობის ტრანსპორტირებაზე. იხილავენ აზერბაიჯანიდან ნოვოროსიისკამდე მილსადენის გაყვანის ვარიანტს, საიდანაც ნავთობის „ხაზი“ თურქეთის სანაპიროსაკენ შავი ზღვის ფსკერზე გაივლის.

კოსმონავტები ორმაგ შემცირებაში მოჰყვნენ

ფინანსურ პრობლემათა გამო თითქმის ორმაგ შემცირებაში მოჰყვნენ რუსი კოსმონავტები, რომლებიც კოსმოსში გასაფრენად ემზადებიან, ხოლო „ბურანის“ პროგრამით მზადება მთლიანად შეწყდა, რადგან მრავალჯერადი ხომალდის გაშვება 2000 წლამდე დაგეგმილი არ არის.

წინათ, კოსმონავტთა ექვს რაზმში თითქმის 100 კაცი იყო, რაც მნიშვნელოვნად მეტია, ვიდრე 1997 წლამდე დაგეგმილი ორბიტულ პილოტირებულ სადგურზე ექსპედიციების გასამგზავრებლად არის საჭირო, აცნობეს იტარ-ტასის კორესპონდენტს სადგურ „მირის“ ფრენისა და ექსპლოატაციის უზრუნველყოფის საუწყებათშორისო კომისიაში.

შემცირებაში მოხვდნენ, კერძოდ, ისინი, ვინც 50 წელიწადზე მეტი ხნისაა. ამავე დროს, რაზმში დარჩა ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი წევრი — 54 წლის გენადი სტრეკალოვი.

სადღეისოდ ყველაზე მრავალრიცხოვანი რაზმი დარჩა რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალებს — 17 კაცი. რაზმი „ენერგია“ გააერთიანებს 12 კაცს. სამედიცინო-ბიოლოგიურ პრობლემათა ინსტიტუტმაც შეინარჩუნა საკუთარი რაზმი — 5 კაცი.

„ბურანის“ პროგრამით გასაფრენად გამზადებულმა კიდევ 12 კაცის ბედი ჯერაც უნდა გადაწყდეს. შესაძლოა, ისინი გადასცენ „მირ“ სადგურში ფრენისათვის მოსამზადებლად.

დედა ტერეზა მკურნალობის კურსს გადის

დედა ტერეზასადმი მიძღვნილი წინა კვირას გამართულ ცერემონიაზე მისმა არყოფნამ დელიში მრავალი მითქმა-მოთქმა გამოიწვია 83 წლის გულმოწყალების ორდენის დამაარსებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო. ეს ხმები გაფანტა ზეიმის დამსწრე ინდოეთის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ჩანდრა შეკჰარმა, რომელმაც ჟურნალისტებს აცნობა, რომ დედა ტერეზა მკურნალობის კურსს გადის მას შემდეგ, რაც გასულ კვირაში იგი ძაღლმა დაკბინა.

დაუკავშირდნენ რა ტელეფონით რომის მისიონერთა კათოლიკურ ეკლესიას, პრესის წარმომადგენლებმა შეიტყვეს, რომ რამდენიმე დღის წინათ, მას, როგორც ჩვეულებრივ, დაუპირებია ძაღლისათვის თავზე ხელი გადაესვა, მისიის ჭიშკართან რომ მოკალათებულიყო. მას კი თითზე უკბენია. დედა ტერეზას პირადმა ექიმმა საჭიროდ ცნო გაეკეთებინა მისთვის ცოფსაწინააღმდეგო ინექცია.

მასწავლებელი გაძარცვეს

დამბაჩის მუქარით ორმა 12 წლის ამერიკელმა მოზარდმა გაძარცვა მასწავლებელი — წაიღო 4 ათას დოლარზე მეტი. როცა მათ გამოედევნენ სკოლის დირექტორი და ერთ-ერთი მისი მოადგილე, მოსწავლეებმა უყოყმანოდ გაუხსნეს ცეცხლი. ეს ამბავი მოხდა ტენესის შტატის ქალაქ მემფისში. საშუალო სკოლის მასწავლებელს დავალებული ჰქონდა შეეკრიბა ფული პიკნიკისათვის.

რამდენიმე ხნის შემდეგ მოსულმა პოლიციამ, როცა გარემოებანი გაარკვია, შეიპყრო მცირეწლოვანი მძარცველები, მაგრამ მოტაცებული ფულიდან ჯერჯერობით მხოლოდ სულ 500 დოლარი დააბრუნეს.

ცნობები ბორჯომიდან

ჩამოსხმა დაიწყო

თითქმის ერთწლიანი იძულებითი გაჩერების შემდეგ ბორჯომის მეორე ჩამოსასხმელმა ქარხანამ პირველი პროდუქცია გამოუშვა.

ეს რუსეთთან და უკრაინასთან გაფორმებული ხელშეკრულებების ამოქმედებით გახდა შესაძლებელი, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს ქარხნის დირექტორმა თამაზ კურტანიძემ, — გვაქვს გარანტია, რომ ამიერიდან ბოთლი გვეყოფა. 4 ცარიელ ბოთლში ვცვლით 1 ბოთლ მინერალურ წყალს. ამ მეთოდით წლის ბოლომდე 40 მილიონ ბოთლს მოგვაწოდებენ. ბოთლებით დატვირთული ვაგონები უკვე გზაშია, ვლადიმირის ოლქის შუშის ქარხნებიდანაც დაიწყო ბოთლის გამოგზავნა. ამ დღეებში კი სურამის მინის ტარის ქარხანაც განაახლებს ბოთლის მოწოდებას. ამ მხრივ, პრობლემები აღარ გვექნება. თუ გაზისა და ელექტროენერგიის მოწოდებას არ შეგვიწყვეტენ, თურქმენეთის, ასევე სხვა სამთავრობო შეკვეთის შესრულება გარანტირებულია. ამის გარდა, საქართველოს მოსახლეობაც ველარ იგრძნობს მინერალური წყლის ნაკლებობას.

რეზო მინდელი,

ინებეთ პური... უფასოდ!

— **ასეთი** მიმართვა უკვე ტრადიციად დამკვიდრდა ბორჯომის პურის მაღაზიებში. ამ კეთილშობილური ღონისძიების ინიციატორმა, ბორჯომის რაიონულმა გამგეობამ წლევანდელი აღდგომის ქრისტიანული დღესასწაული გამომცხვარი პურის უფასოდ გაცემით მიულოცა კურორტ-ქალაქის მთელ მოსახლეობას.

ჰუმანური თაოსნობის გაგრძელება ისურვა საერთაშორისო საზოგადოება „სტალინის“ ბორჯომის რეგიონულმა ორგანიზაციამ (თავმჯდომარე — თენგიზ რევაზიშვილი), რომლის დაფინანსებითაც მოსახლეობამ ხსოვნის დღესაც უფასოდ მიიღო პური.

გიორგობის დღესასწაული — 6 მაისი ბორჯომელი მძღოლის გოდერძი ხუციშვილის ქველმოქმედებით აღინიშნა. მან თავისი პირადი დანაზოგით გადაიხადა ქალაქის მოსახლეობაზე გასაცემი ერთი დღის ნორმირებული პურის ფული, 6 მილიონამდე კუპონი და უფასოდ გაიცა პური...

გამარჯვების დღე — 9 მაისი უფასო პურით მიულოცა ქალაქის მოსახლეობას ბორჯომის კურორტვაჭრობამ (დირექტორი — რობერტ კურტანიძე), 10 და 11 მაისს კვლავ უფასოდ გაიცა ნორმირებული პური. ამ ჰუმანური ქველმოქმედების სპონსორია მოსკოვის ფირმა „ასტრის“ დირექტორი, ბორჯომელი ვანო გაგნიძე, რომელიც 30 წელიწადია მოსკოვში მოღვაწეობს და ამჟამად მშობლიური ქალაქის სტუმარია.

ანალოგიური ქველმოქმედებით მსურველთა რიცხვი დღითიდღე მატულობს.

რეზო მდინარაძე.

დაფუძნდა ხეობის ბერძენთა საზოგადოება

საქართველოში, კერძოდ, ბორჯომის ხეობაში, საუკუნეების მანძილზე ცხოვრობენ ბერძნები და რაიონის მიღწევებში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ. სოფელ ციხისჯვარში კომპაქტურად დასახლებულ ბერძენ მოსახლეობას ყველა პირობა აქვს შექმნილი მშობლიური ენის, კულტურის, ტრადიციების შესანარჩუნებლად.

— ჩვენი სურვილია, აქტიურად დავუჭიროთ მხარი ქართველ ხალხს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში, დემოკრატიული საქართველოს აშენებას, — აღნიშნა საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში ბორჯომის ხეობის ბერძენთა საზოგადოების ხელმძღვანელმა ინჟინერმა ვასილისა იორდანოვამ. — საქართველოს ბერძენთა სათვისტომოს ფედერაციის ბორჯომის რეგიონული ორგანიზაცია იზრუნებს ბერძნული მოსახლეობის ეროვნულ-კულტურული, სოციალური განვითარებისათვის, ეროვნული კულტურის კერების შექმნისათვის და საქართველოში მცხოვრებ ყველა ხალხთან ერთად იღვაწებს მეგობრობის კეთილი ტრადიციების განსამტკიცებლად.

ქართველებმა ბერძენთა თანადგომა და უანგარო დახმარება ნათლად დაინახეს აფხაზეთში გაჩაღებული ომის დროს. ამის დავიწყება შეუძლებელია...

სასჯელის გარდაუვალობისათვის, კანონის ამოქმედებისათვის

დღეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ჯემალ ციხკარაშვილის თავმჯდომარეობით განიხილა საქმე პრეზიდენტყოფილის მომხრე დამნაშავეთა ჯგუფის — ზურაბ სულავას, გოდერძი ჯოჯიშვილის, იოსებ კუპრავას, ომარ ლუღუნიშვილისა და მალხაზ ლევინიაშვილის ბრალდების გამო.

სასამართლომ დაადგინა, რომ დამნაშავეთა ჯგუფი მიზნად ისახავდა გაემწვავებინა რესპუბლიკაში ისედაც მძიმე ეკონომიკური ვითარება, მოეწყოთ მოსახლეობის მასობრივი ანტისახელმწიფოებრივი გამოსვლები და მოეხდინათ ხელისუფლების დისკრედიტაცია.

ამ განზრახვის სისრულეში მოყვანისათვის მათ დივერსიების გზა აირჩიეს. 1993 წლის 26-29 ივნისს და 7-8 ივლისს ქ. თბილისში დანაღმეს და ააფეთქეს ლისისა და მთაწმინდის ელექტროგადამცემი ხაზების ორი ანძა; მოგვიანებით კი კასპის რაიონის სოფელ ოკამში მწყობრიდან გამოიყვანეს 500 კილოვატიანი ელექტროგადამცემი ხაზის ანძა, რის გამოც სახელმწიფომ 564 მილიონ 200 ათასი მანეთის მატერიალური ზარალი განიცადა.

დამნაშავეთა პიროვნებებისა და მათი ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების გათვალისწინებით სასამართლომ განუსაზღვრა: ლევინიაშვილს და სულავას — 15-15 წლით, კუპრავას და ჯოჯიშვილს 14-14 წლით, ლუღუნიშვილს — 13 წლით თავისუფლების აღკვეთა, ყველას — ქონების კონფისკაციით. მსჯავრდებულები სასჯელს მოიხდიან მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში, ამასთან, ლევინიაშვილი შეფარდებული სასჯელიდან ხუთ წელიწადს საპყრობილეში გაატარებს.

განაჩენი საბოლოოა: საკასაციო წესით იგი არც გასაჩივრდება და არც გაპროტესტდება.

მზარდი დანაშაულობის ფონზე უთუოდ, ეს კიდევ ერთი მკაცრი გაფრთხილება იქნება მათთვის, ვინც ცდილობს სოციალური ქაოსი და ანარქია დაამკვიდროს საქართველოში.

უზენაესი სასამართლოს პრესსამსახური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ

ᲙᲕᲚᲐᲕ ᲓᲡᲗ-ᲖᲔ, ᲒᲐᲔᲠᲝᲖᲔ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲔᲑᲖᲔ

„ᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲙᲐᲜᲪᲚᲔᲠᲘ" ბისმარკი პოლიტიკაში დაშვებულ შეცდომებს ტუბერკულოზს (ვიდრე მაშინ ისე „პოპულარული" არ იყო) ადარებდა; სანამ განკურნება კიდევ შესაძლებელია, ავადმყოფობა არ ჩანს, ხოლო როდესაც გამოჩნდება, უკვე განუკურნებელია. დაზუსტებას ალბათ მხოლოდ ის გარემოება მოითხოვს, რომ თუ დაავადება პიროვნებას ემუქრება, პოლიტიკაში დაშვებული შეცდომა მთელ ერსა და ქვეყანას აყენებს სასიკვდილო საფრთხის წინაშე. შემდგომი ქარაგმებისა და ალეგორიების გარეშე, პირდაპირ ჩვენს მწირ რეალობაზე რომ გადმოვიდე, იმთავითვე ვიტყვი, საქართველოს დღევანდელი ყოფა უმთავრესად ადრე დაშვებულ შეცდომათა მეტასტაზებია.

ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲓ, არც ახალი ხელისუფლება აღმოჩნდა შეცდომებისაგან დაზღვეული. განსხვავებას ძირითადად იმაში ვხედავ, რომ თუ ყოფილი ხელისუფლება „სწორ ადგილზე" ბორძიკობდა და შეცდომას შეცდომაზე უშვებდა, რასაც საბოლოო ანგარიშით მოჰყვა ის, რაც უნდა მოჰყოლოდა — ქვეყნის გარეთ იზოლაცია და ქვეყნის შიგნით — სამოქალაქო ომი, ხელისუფლების რამდენიმე შეცდომა (პირველ რიგში, მთავარი შეცდომა იყო ის, რომ ხელისუფლებამ ვერ გაბედა არაპოპულარული გადაწყვეტილების მიღება და აფხაზეთში რუსეთის სამხედრო ნაწილების შეყვანა, რაც, როგორც მინიმუმი, ლტოლვილთა პრობლემას არ შეგვიქმნიდა) სწორედ მემკვიდრეობით მიღებულ შეცდომათა შედეგებთან ბრძოლის პირობებში იქნა დაშვებული. ეს შეღავათია ხელისუფლებისათვის, მაგრამ არა ქვეყნისათვის.

ძველ და ახალ შეცდომათა ხელახალ ანალიზსაც კი იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ ანალოგიური პოტენციური საფრთხე კიდევ დგას დღის წესრიგში. პირველ რიგში ეს ეხება აფხაზეთთან დაკავშირებულ პრობლემას; ბუნებრივია, რომ როგორც ხელისუფლება, ასევე ოპოზიციაც აზრადაც კი არ უშვებს, რომ წაგებულმა ომმა გადაწყვიტა ეს პრობლემა. აზრთა სხვადასხვაობაა მხოლოდ აფხაზეთის დაბრუნების საშუალებებთან დაკავშირებულ საკითხებში. ბევრის აზრით ის, რაც ბრძოლაში დაიკარგა, ბრძოლითვე უნდა დავიბრუნოთ. ძირითადად ამავე პოზიციაზე დგას ოპოზიციაც, თუმცა ისტორიამ არაერთი შემთხვევა იცის, როდესაც თოფის გაუსროლელად, გონივრული დიპლომატიის მეშვეობით, შესაძლებელი გამხდარა წაგებული ომის შედეგად დაკარგულ პოზიციათა აღდგენა. მაგალითისათვის შორს რომ არ წავიდე 1855 წლის ყირიმის ომს დავასახელებ.

აფხაზეთის დაბრუნების სტრატეგიული კურსისა და ტაქტიკური მანევრების უშეცდომოდ განსაზღვრისათვის (აქ დაშვებულმა შეცდომამ შეიძლება ათეული წლებით დაგვაკარგვინოს ეს მხარე) საფუძვლიანად უნდა იქნეს შესწავლილი და გაანალიზებული (ბუნებრივია სხვა მომენტებთან ერთად) არძინბას რეჟიმის სუსტი და ძლიერი ადგილები. ფაქტია, რომ 80-იანი წლებიდან მოყოლებული, მკვეთრად გაძლიერდა აფხაზ სეპარატისტთა გავლენა რუსეთის გარკვეულ პოლიტიკურ წრეებზე და ინტელიგენციის ნაწილზეც. რაც უფრო უხეშ და არაცივილიზებულ ფორმებს ღებულობდა საქართველოში როგორც სამიტინგო, ასევე ტელე-საგაზეთო, ანტირუსული რიტორიკა, მით უფრო უადვილდებოდათ სეპარატისტებს ანტიქართული განწყობილების გაღვივება რუსეთში. ხსენებულმა პროცესმა პიკს 90-იანი წლების დასაწყისში მიაღწია, როდესაც საქართველოში პოლიტიკური, მეცნიერული თუ საზოგადოებრივი მოღვაწეობის არენაზე სწრაფი და შთამბეჭდავი კარიერისათვის ზემძლავრ დამჩქარებლად იქცა რუსოფობია (პუშკინიც კი შეეწირა ამ კამპანიას).

ამავე დროს გამსახურდიას ხელისუფლებამ აბსოლუტურად ვერ გათვალა თუ რა დამღუპველი შედეგები შეიძლება მოჰყოლოდა მის იმპროვიზირებულ ნაციონალიზმს ოსებთან თუ აფხაზებთან ურთიერთობაში. ეს უკვე ცინიზმის ბოროტი გენია ტალეირანი რომ მოვიშველიოთ, დანაშაულზე მეტი — შეცდომა იყო. ასე, „სამხრეთ-ოსეთზე" რომ არაფერი ვთქვათ, აფხაზეთში ომის დაწყების მომენტისათვის აფხაზ სეპარატისტებს უკვე მტკიცე ზურგი ჰქონდათ რუსეთში და ნაწილობრივ რუსეთის გარეთაც. ჩვენი საინფორმაციო პოლიტიკის სრულმა უსუსურობამ და არაეფექტურობამ, რაც დღესაც აქილევსის ქუსლად გვევლინება, ვერაფერი ვერ დააკლო „თავისუფლებისა და სუვერენიტეტისათვის მებრძოლი პატარა ერის" რეპუტაციას. ფაქტია, რომ საინფორმაციო ომიც არამხოლოდ და არაიმდენად აფხაზებმა მოგვიგეს, მაგრამ ნურც იმაზე ვიკამათებთ, რომ ნათლად გამოკვეთილი და პროფესიულ საწყისებზე დაფუძნებული საინფორმაციო პოლიტიკა არც ომის დღეებში იგრძნობოდა და არც დღეს იგრძნობა. თუ კონკრეტული შედეგით ვიმსჯელებთ, ამ სფეროს მესვეურებს თავიანთ მთავარ მოვალეობად (რასაც დიდი ხალისით ასრულებენ კიდეც!) უცხოეთში მოგზაურობებისას სახელმწიფოს მეთაურთან თანხლება და დელეგაციათა მიღებაზე მის გვერდით ჯდომა მიაჩნიათ.

სურათი მკვეთრად იცვლება ომის დამთავრების შემდეგ (თუმცა ამაში ჩვენი საინფორმაციო პოლიტიკა არაფერ შუაშია), როდესაც გუდაუთის დაჯგუფებებისათვის დღის წესრიგის გადაუდებელ ამოცანად იქცა ბრძოლის ველზე მიღწეულ წარმატებათა პოლიტიკაში მატერიალიზაციის დილემა. სიტუაცია — არც ომი, არც მშვიდობა, უკვე აღარ აწყობთ სეპარატისტთა ხელმძღვანელებს. ახალ ვითარებაში მათი მთავარი ამოცანაა გამარჯვების პოლიტიკური ლეგიტიმიზაცია. მოკლედ რომ ვთქვათ, საქართველოდან აფხაზეთის ფაქტობრივი დამოუკიდებლობის გაფორმება საერთაშორისო (პირველ რიგში რუსეთის) გარანტიებით, საქართველოსთან „როგორც მეზობელ სახელმწიფოსთან" ხელშეკრულების გაფორმება და, რაც მთავარია, ისეთი პირობების შექმნა, რომ პრაქტიკულად შეუძლებელი გახდეს აფხაზეთში ქართველ ლტოლვილთა დაბრუნება. აი სწორედ ამ მომენტიდან იწყება არძინბას ხელისუფლების წარუმატებლობათა მთელი სერია. ერთის შეხედვით, მას ყველაფერი განაღდებული აქვს — მთელი მსოფლიოს თვალწინ დაამცირა მტერი, რომელიც პათოლოგიურად სძულს — ქართველი, კომუნისტურ-დამკვრელური წესით ჩაატარა ეთნიკური წმენდა, ენგურთან დაიგულა საზღვარი და გულმშვიდად ელის, თუ როდის აიძულებს საქართველოს ხელისუფლებას რუსეთი და „რეალობა" „ცივილიზებული" წესითა და ნორმებით გაფორმდეს ომის ყველა შედეგი. ასე გამოიყურება სადღეისო სიტუაცია მხოლოდ ერთი, და ისიც უაღრესად არაკვალიფიციური შეხედვით. სინამდვილეში კი სულ სხვა სურათია. დავიწყოთ იმით, რომ მითად იქცა არძინბას „ბროლის ოცნება". საკუთარი ერთპიროვნული მმართველობის ქვეშ მოექცია მთელი აფხაზეთი; აქ ომის დაწყებამდე უფრო ძლიერი იყო მისი რეალური გავლენა, ვიდრე დღეს არის. ის ფაქტი, რომ მისი „პირადი წარმომადგენლები" აწარმოებენ მოლაპარაკებებს ჟენევასა თუ მოსკოვში, ჯერ კიდევ ყველაფერს არ ნიშნავს (მოლაპარაკებებს თვითმფრინავის გამტაცებლებთანაც აწარმოებენ). თვითონ სოხუმში არძინბა იძულებულია „ძმურად" გაუყოს ხელისუფლება ყველას, ვინც კი ქართველებისაგან „გაუწმინდა" აფხაზეთის მიწა. „ძმებს" შორის, რომ ნადავლის გაყოფა „ცივილიზებული" მეთოდებით არ მიმდინარეობს, ამაზე „ქართველ დამპყრობლებთან" მებრძოლთა შორის წარმოებული სისხლიანი „რაზბორკებიც" მეტყველებს. არძინბას კი თავისთვის და თავისი კლანისთვის უნდოდა მთელი აფხაზეთი. მისთვის ისიც მოულოდნელ სიურპრიზად იქცა, რომ რუსი გენერლების შესაძლებლობებს მაშინვე დაედო ზღვარი, როგორც კი პირდაპირი სამხედრო დახმარების მწვავე აუცილებლობა მოიხსნა. თვითონ რუსეთშიც შეიცვალა სიტუაცია ოქტომბრის მოვლენების შემდეგ; აფხაზი სეპარატისტები ხომ კოშმარულ სიზმარშიც ვერ წარმოიდგენდნენ ლეფორტოვოში ხაზბულატოვ-რუცკოის კამპანიას. ამიტომაც არის, რომ ომის დამთავრების შემდეგ არძინბამ ერთი წარმატებაც კი ვერ ჩაიწერა აქტივში. მასთან მიმართებაში ჯერ კიდევ ძველი რომაელების დროს დამკვიდრებული კალამბურიც კი არ „მუშაობს": — „გამარჯვებულებს არ ასამართლებენ", თუ ქართველთა მხარემ იმარჯვა, აფხაზი ვანდალებიც დაუმშვენებენ გვერდს ბოსნიელ სერბებს საერთაშორისო ტრიბუნალის საბრალდებო სკამზე. რაც შეეხება ოფიციალურ რუსეთს, ერთია საბრძოლო პირობებში ფარულად იარაღის მოწოდებაზე თვალის დახუჭვა, როდესაც ყოველთვის შეგიძლია ყველაფერი უარყო, რასაც დოკუმენტურად ვერ დაგიმტკიცებენ და სულ სხვაა მთელი საერთაშორისო საზოგადოებრიობის თვალწინ საჯაროდ მხარში ამოუდგე სისხლიან სეპარატისტებს. მით უმეტეს თუ ასეთი საფრთხე საკუთარ სახლშიც გემუქრება. არძინბამ და მისმა გულშემატკივრებმა რუსეთის პოლიტიკურ წრეებში ვერც იმას მიაღწიეს, რომ პრეზიდენტ ელცინს თბილისში ჩამოსვლა და ხელშეკრულებაზე ხელისმოწერა გადაედო. გაეროს უშიშროების საბჭოს ყოველი რეზოლუცია კი თავისებურ ეპიტაფიად იქცა არძინბას საერთაშორისო იმიჯისათვის. აფხაზ სეპარატისტთა ავტორიტეტს დიდი ზიანი ჟენევის პროცესის მარცხმაც მიაყენა. საერთაშორისო საზოგადოებრიობის წინაშე მთელი თავისი „მომხიბვლელობით" წარსდგა მილიტარიზებული სეპარატიზმი.

მას შემდეგ, რაც არძინბას გუნდმა ვერ შეძლო საკუთარ პოლიტიკურ დივიდენდებად ექცია ომში სხვისი წყალობით მოპოვებული საეჭვო ღირებულებების გამარჯვება, ქართულ დიპლომატიას შესაძლებლობა მიეცა განავითაროს თავისი წარმატება და სისხლისღვრის გარეშე დააკარგვინოს მთავარი სტრატეგიული პოზიცია სეპარატისტებს — დასაწყისისათვის ნაწილობრივ მაინც აღადგინოს ომამდე არსებული ეთნიკური ბალანსი აფხაზეთში.

გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ დღეს არამხოლოდ ლტოლვილთა, არამედ მთელი აფხაზეთის დაბრუნების თუ არა, დიდი ხნით დაუკარგაობის უნიკალური და შეიძლება უკანასკნელი შანსი არსებობს, ამიტომ დღეს შეცდომის დაშვება ომში დამარცხებაზე არანაკლები მნიშვნელობის კატასტროფა იქნება. უპირველეს ყოვლისა, რა გადაარჩენდა არძინბას დისკრედიტირებულ და უპერსპექტივო პოლიტიკურ კურსს? მხოლოდ ერთი რამ: ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაციების განახლება. თანაც ისე, რომ ინიციატორებად ქართველები გამოვიდნენ. ამით აიხსნება პერმანენტული სამხედრო პროვოკაციები დალის ხეობაში და ფორსირებული სამხედრო მზადება. რაც არ უნდა დაგვიჯდეს, უფლება არა გვაქვს წამოვეგოთ ამ ანკესზე, მით უმეტეს, სანამ არ დამთავრებულა ქართული არმიის მშენებლობის პროცესი (რომელიც სიმართლე რომ ვთქვა, ეს-ეს არის იწყება). ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მარჯვე პროვოკაციების შედეგად მეორედ შეიძლება ჩაგვითრიონ ომში, რასაც დღევანდელი საქართველო უკვე ვეღარ გადაიტანს და მთელ ქვეყანას დაემუქრება აფხაზეთის ხვედრი. ის, რომ ჩვენი საზოგადოების ერთმა ნაწილმა უკვე „ჩამოწერა" გაერო და ამ უკანასკნელის აუჩქარებელი მოქმედება სამშვიდობო ძალების გამოგზავნის საკითხში, პრობლემის ძალისმიერი მეთოდით, ე. ი. ახალი ომით გადაჭრის ვერსიის სასარგებლო არგუმენტად მიაჩნია, ჩვენივე ბრალია; არ ვიცი, ვინმეს მითითებით მოხდა თუ ჩვენი მასობრივი ინფორმაციის ორგანოთა ინიციატივა იყო ის, რომ ასეთი ფართო და არაკომპეტენტური „პაბლისიტი" გაუკეთდა უშიშროების საბჭოს ცნობილ სხდომას, სადაც ჩვენი საკითხი იხილებოდა. განა შეიძლებოდა კომპეტენტური კომენტარის გარეშე სხდომის სრული ვიდეო-ჩანაწერის გადაცემა ეთერში? ჟურნალისტებს შესაძლოა არ სცოდნოდათ, მაგრამ სხვას ხომ უნდა სცოდნოდა, რომ უშიშროების საბჭოს წევრთა ერთსულოვანი მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი, რომელიც თავისთავად ჩვენი დიპლომატიის რეალური გამარჯვება იყო, ჯერ კიდევ არ მოასწავებდა აფხაზეთში „ცისფერი ჩაფხუტების" გამოგზავნას? სწორედ გაეროს მექანიზმისა და ანატომიის უცოდინარ ჟურნალისტთა, პარლამენტართა და კიდევ სხვათა „დამსახურება" იყო ის ფაქტი, რომ საშიში ილუზიების ტყვეობაში აღმოჩნდა საზოგადოების დიდი ნაწილი; გავიხსენოთ ის დღეები: რა ხალისით აძლევდნენ ტელე-თუ საგაზეთო ინტერვიუებს ამერიკიდან დაბრუნებულნი, როგორ მტკიცედ სჯეროდათ და სხვასაც არწმუნებდნენ, თითქოს იმ დღეს უშიშროების საბჭოში ფაქტობრივად აფხაზეთში ჯარების გამოგზავნის საკითხი გადაწყდა. ჩემთვის დღემდე გაუგებარია, თუ რატომ არავინ არ შეაჩერა მასობრივი ეიფორიის ეს ტალღა. ესეც შეცდომა იყო. როდესაც მალე გაირკვა რეალური ვითარება, მასობრივი ეიფორია მასობრივმა დაბნეულობამ შეცვალა, რომლის თავიდან აცილებაც იოლი იყო სწორი საინფორმაციო პოლიტიკის პირობებში. რასაკვირველია, ბევრი რამ შეუძლია გაეროს და ბევრი რამ გააკეთა კიდეც საქართველოს საკეთილდღეოდ, მაგრამ დღეს თვითონ გაეროც მძიმე დღეში აღმოჩნდა; ორგანიზაციის არსებობის ისტორიაში არ ყოფილა მეორე პერიოდი, როდესაც მსოფლიოს ამდენ ცხელ წერტილში მოითხოვდნენ მის სამშვიდობო ძალებს, არც ამდენი მსხვერპლი არ ყოფილა „ცისფერ ჩაფხუტთა" რიგებში. პატარა რუანდაში უკვე 200 ათასი ადამიანი ემსხვერპლა ეთნიკურ კონფლიქტს, 500 ათასამდე ადამიანი გაიქცა ტანზანიაში. ამ მხრივ რუანდამ თავისებური რეკორდი დაამყარა, გაეროს კი არ შეუძლია სამშვიდობო ძალები გაგზავნოს არათუ ლტოლვილთა დასაბრუნებლად, არამედ იმათი სიცოცხლის გადასარჩენად, ვინც გაქცევას ვერ ასწრებს. ძირითადად ესენი ქალები, მოხუცები და ბავშვები არიან. კიდევ 15 ათას ჯარისკაცს თხოულობს ინგლისელი გენერალი როუზი იუგოსლავიისათვის, ბუტროს გალი ლამის არის იმაზეც კი დათანხმდეს, რომ ირანელი ფანატიკოსები „ისლამური რევოლუციის გუშაგები" გაგზავნოს ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში, სადაც ქრისტიანები და მუსლიმანები ჟლეტენ ერთმანეთს. ადრე არც ასეთ კრიტიკულ ფინანსურ მდგომარეობაში ყოფილა გაერო. ერთი სიტყვით, დღეს ორგანიზაცია მძიმე დღეშია, ექსტრემალურ სიტუაციაში მთელი სიმწვავით იჩინა თავი მოძველებულმა და მოუქნელმა, უზომოდ ბიუროკრატიულმა სტრუქტურამ და გადაწყვეტილების მიღებისა და რეალიზაციის არაოპერატიულმა მექანიზმმა. ასეთ ვითარებაში იმის ლოდინი, თუ როდის დაუბრუნდება უშიშროების საბჭო აფხაზეთის პრობლემას და შემდეგ როდის შეძლებს საჭირო რაოდენობის სამშვიდობო ძალების გამოგზავნას, მეტი რომ არა ვთქვა, მიზანშეუწონელია და ამიტომაც ოპტიმალურ ვარიანტად მიმაჩნია მოსკოვში 14 აპრილს მიღებული გადაწყვეტილებები. სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოს მიერ მიღებული დოკუმენტი პირველ რიგში უშიშროების საბჭოს მოუწოდებს „დაუყოვნებლივ" მიიღოს გადაწყვეტილება აფხაზეთში სამშვიდობო ოპერაციის განხორციელების შესახებ, ხოლო თუ ასეთი გადაწყვეტილება მიღებული არ იქნება, უკვე დსთ-ს კოლექტიური უსაფრთხოების მონაწილე ქვეყნები შეიყვანენ „კონფლიქტის ზონაში" (ე. ი. მთელ ტერიტორიაზე, ა პრინციპული მომენტია!) თავიანთ სამშვიდობო ძალებს.

რა დასამალია, რომ აფხაზეთში რუსეთის ჯარის გამოჩენის პერსპექტივა ბევრ ჩვენს თანამოქალაქეში არ იწვევს ენთუზიაზმს, მაგრამ მაშინ პირდაპირ დავსვათ კითხვა — რა ჯობია, დაუსრულებლად ველოდოთ გაეროს ჯარს, მაშინ როდესაც ყოველი დაკარგული დღე ართულებს ლტოლვილთა დაბრუნებას, თუ მაქსიმალურად გამოვიყენოთ მოპოვებული შანსი? ნურც შემდეგ მომენტებს დავივიწყებთ: 1) ამა თუ იმ ფორმით ძალის გამოყენების გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება დაუპატიჟებელი „სტუმრებისაგან" ქართველთა ბინებისა და კარ-მიდამოს განთავისუფლება. „ცისფერ ჩაფხუტს" ძალის გამოყენება ფაქტობრივად აკრძალული აქვს, ის უმთავრესად მხოლოდ გამშველებელია. 2) რუსეთსა თუ დსთ-ს ძალები ნაკლებ „დელიკატურობას" გამოიჩენენ თავიანთი მისიის შესრულებაში. 3) დღეს თვითონ რუსეთს ესაჭიროება მისი ინიციატივით ჩატარებული სამშვიდობო მისიის წარმატება საკუთარი საერთაშორისო ავტორიტეტის განმტკიცებისათვის. დღემდე მან ეს ვერსად ვერ მოახერხა (სომხეთ-აზერბაიჯანი, მოლდოვა-დნესტრისპირეთი, ტაჯიკეთი), კიდევ ერთი მარცხი და გარე სამყარო სერიოზულად აღარ აღიქვამს რუსეთის პრეტენზიას საერთაშორისო არბიტრის როლზე. რაც შეეხება ტრადიციულ შიშს, რომ საქართველოს ინტერესებში მოსკოვი ნაბიჯსაც არ გადადგამს, ამჯერად სხვა ვითარებაა; მე რასაკვირველია, შორს ვარ აზრისაგან, რომ რუსეთი უკვე მთლიანად შეიცვალა და დღეს საერთაშორისო სამართლის მორჩილი დემოკრატიული სახელმწიფოა, უბრალოდ, მას შემდეგ, რაც ცივილიზებული სამყარო გაეროს სახით არაორაზროვნად უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის რანგში განიხილავს ეთნიკურ წმენდას, საკუთარი და არა აბსოლუტური სამართლიანობისა და ჭეშმარიტების ინტერესებიდან გამომდინარე, მოსკოვი მხარს ვეღარ დაუჭერს აფხაზ სეპარატისტთა პოლიტიკას. იგი იძულებულია გაემიჯნოს მას თუნდაც ისეთ საკითხებში, როგორიცაა ლტოლვილთა დაბრუნება და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. 4) მას შემდეგ, რაც საქართველო დსთ-ს წევრი გახდა, თვით რეაქციული რუსეთისათვისაც აფხაზური სეპარატიზმი აღარ არის სტრატეგიული მოკავშირე, თუმცა იმის მტკიცების არავითარი საბუთი არ არსებობს, რომ დსთ-ში გაწევრიანებით საქართველომ დამოუკიდებლობა დაკარგა.

რასაკვირველია, ახალი ილუზია იქნებოდა იმის ვარაუდი, რომ რუსეთი ცალსახად პროქართულ კურსს დაადგება და „ღვთის ანაბარა" დატოვებს აფხაზ სეპარატისტებს, ან სამუდამოდ მოიმდურებს მათ. უკანასკნელთა თვალში საკუთარ რეაბილიტაციას შეეცდება, როგორც კი კონკრეტული დებატები დაიწყება აფხაზეთის პოლიტიკურ სტატუსზე. რას შეიძლება მოველოდეთ? ვფიქრობ, რუსეთი კონფედერაციის იდეას დაუჭერს მხარს. ჩვენს პოლიტიკოსებს ამთავითვე უნდა ახსოვდეთ, რომ კონფედერაციაზე ყოველგვარი ლაპარაკი სხვა რომ არაფერი იყოს, ფაქტობრივად კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს იგივე გაეროს უშიშროების საბჭოს დადგენილებებსა და იმ საერთაშორისო დოკუმენტებს, დღეს სამართლიანად რომ მიგვაჩნია ქართული დიპლომატიის მიღწევად.

როდესაც ეს სტატია იწერებოდა, კაიროში ისრაელმა და პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციამ ხელი მოაწერეს მართლაც ისტორიულ დოკუმენტს (არ გაგიკვირდეთ თუ არაფატი და რაბინი მალე ნობელის პრემიის ლაურეატები გახდნენ), რომლის ფორმულა ასე ჟღერს — „დასაწყისისათვის ღაზა და იერიხონი". დიახ **„დასაწყისისათვის"!** ნურც ჩვენ ვიქნებით ნეტარი მაქსიმალისტები; თუ სხვა საშუალება არ არსებობს, **„დასაწყისისათვის"** დავთანხმდეთ ლტოლვილთა თუნდაც ნაწილის დაბრუნებაზე, **„დასაწყისისათვის"**, თუნდაც მხოლოდ გალის რაიონში. ვიკმაროთ პოლიტიკური შეცდომები!

ᲡᲝᲡᲝ ᲪᲘᲜᲪᲐᲫᲔ.

ᲞᲝᲔᲖᲘᲐ ᲣᲞᲘᲠᲕᲔᲚᲔᲡ ᲧᲝᲕᲚᲘᲡᲐ

ᲜᲝᲓᲐᲠ ᲨᲐᲛᲐᲜᲐᲫᲔ

ᲛᲣᲮᲐᲕ, ᲙᲕᲚᲐᲕ ᲛᲣᲛᲚᲘ ᲒᲔᲮᲕᲔᲕᲐ

მუხავ, ქარი გცემს ხმაურით,
მუმლი გეხვევა ისევა,
მუმლი და მერე რა მუმლი, —
ხორთუმი უჩანთ ისრებად.
სისხლს გწოვენ გაბოროტებით,
ჩამოგწოლიან ღრუბლებად,
უნდათ დაგიჭკნონ ტოტები
და მოგიწამლონ გუნება.
მოსისხლეს ხვდები უტეხად,
სიკვდილს დანამწყემსები,
დაუძლეველი ზღუდე ხარ,
მშვიდად გატოტვილ ფესვებით.
მუმლი, რის მუმლი, რა მუმლი,
მზედ დგახარ, ჯვარი გწერია!
სანამ შვიდ ფესვად ბუბუნებ,
წაქცევა არ გიწერია.

●

ᲐᲭᲐᲠᲐᲨᲘ ᲛᲢᲠᲔᲓᲘ ᲛᲠᲐᲕᲚᲝᲑᲡ

მოდიოდით,
მოდიოდით,
მოდიოდით გულმხნედ,
ბევრჯერ დედა-საქართველოს
საზეიმოდ უხმეთ.
ბევრჯერ ლხინში დაიწვით,
დაიხმარეთ ჭირში,
მოდიოდით ქართულ სისხლით და
ქართული ჯიშით.
მოდიოდით სამხრეთიდან ქართა მოსაფარი,
საქართველოს მუზარადი, საქართველოს ფარი.
უკვდავების წყაროდ ჩქეფდა
თქვენთა მთათა შრენი,
საქართველოს ამაღლება იწყებოდა თქვენით.
მოდიოდით მხრებგაშლილი, მოდიოდით მხნედა,
შეგხაროდით დედას შვილნი,
შეგხაროდათ დედა.
მაგრამ ბედმა გიშავბედათ, გზა გაეხსნა
წყვდიადს,
გველეშაპმა დრო გიხელთათ, ბნელში
მოგიმწყვდიათ,
მოგაშორათ დედის თბილ მკერდს —
იმერსა და ამერს,
სიკვდილივით მოგისაჯეთ უსინათლო ღამე.
რაც გებადათ სულში ტკბილი, წამსვე
წარიტაცეს,
ობოლს ბავშვით ნაჯახირევს, ნაწამებს
და ნაცემს,
თქვენთა ცრემლთა შენაკადი სწვავდა
ჭოროხს განზე,
შავ ზღვასავით გიბორგავდათ გული
ბოლმით სავსე.
მაგრამ მაინც არ ტყდებოდით,
პირს უტევდით მედგრად,
კაბაზერი კაბაზრობდა,
კვლავ ქიდობდა ქიდა.
მიწის გულში შუქს მალავდით,
ცის ლაჟვარდში — ოქროს,
მძლე მარჯვენით მოიკვლევდით
გზას ძნელს, ოკრობოკროს.
სურდათ ენის ამორთმევაც და ვერ
ამოგართვის,
ვეფხვის წიგნით იმკვიდრებდით
გულში მზის და ნათელს.
მოგდგამთ სიბრძნე და სიდინჯე,
მზისკენ ფრენა ნაჩვევთ,
ასჯერ ზომავთ და ერთხელ ჭრით,
ნისლში ბილიკს არჩევთ.
თქვენთან ახლაც მტრედი მრავლობს,
მშვიდობის ბარტყს ჩეკავს,
ვაზს ახარებთ, ბაღს აყვავებთ,
ძირკვავთ ძეძვს და ეკალს.
აღმართულხართ ზღვისპირეთის
შეურყეველ ბურჯად,
ჰქმნით მშვიდობის, მეგობრობის,
სიყვარულის გუჯარს.

●

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

საქართველო მაჭარია,
დუღს და ბორგავს, ცეცხლის ალზე ზის,
არის რუჟვა, რია-რია,
ჭირი მძლავრობს, ჭირი ერთვის ჭირს.
მაჭარია საქართველო,
კვარჩხალებს და ცეცხლის ჩინჩხლებს ყრის,
უნდა ღამე გაათენოს,
სიბნელეში გზის გაკვლევა ჭირს,
დამაჭრდება, დადუღდება,
დალვინდება, დაიწმინდავს ფერს,
ძმებს გაიჩენს ცალუღლება,
ყველა იშმაკს და სატანას ძლევს.

●

ᲐᲠ ᲛᲝᲛᲘᲬᲔᲕᲡ

ქვემეხების ჭურვით ზეცა დაკაწრულა,
მუხა ლაჟვარდისკენ იწევს მეხამრიდად;
ამ წყეულმა ომმა თავი მომაძულა,
თუმცა, დღეს რომ მოვკვდე, არა,
არც ეს მინდა, —
ბებრულ სიკვდილს ჩემსას ვინღა
ჩათვლის ამბად,
წამლად წვეთი ცრემლიც არ მომიწევს, ალბათ.

●

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ

რა მოგვიტანა ხევდის მიტი,
დაგვზრა, დაგვთრგუნა, გაგვაოგნა...
ნეტავი, სიტყვა პრეზიდენტი
აღარასოდეს გამაგონა.

●

ᲝᲦᲝᲜᲓ ᲨᲔᲜ ᲒᲔᲨᲕᲔᲚᲝᲡ

ვქვითინებ, ცრემლმა დამახვილა,
ყველაფერს ვიფიქრებდი, ამას — ვერა:
ქალაქი თითქოსდა შეშლილია,
შინა ვარ, თავდასხმის მეშინია.
ვტუსაღობ კარ-ფანჯრებ ჩარაზული,
რაზმები მესიზმრება შავრაზმელი,
სახლს ვტოვებ, გარეთაც ზაფრა მიცდის,
ვლასლასებ წრიაატანილი,
გულს სევდა შეკიდია ჩემოდანი,
ყოველ წამს სიფათი მელოდება.
ქისტი ვერ მაშინებს, ვერც ლეკი, ვერც დიდო,
ერთმანეთს დავერიეთ ქართველნი ჩვენ თვითონ.
სინდისის, ნამუსის სალხარი მოგვეშალოს,
ღირსებაც, სიცოცხლეც, კაცისა გროშია.
უტყვიოდ, უხანჯლოდ ვარ მკვდარი, ვარ ლეში,
ოი, საქართველოვ, ჩაგაგდეთ რა დღეში!
ცრემლი შენს გამოა, დარდი შენით არი,
ოღონდ შენ გეშველოს, ჯანაბას ჩემი თავი.

●

ᲑᲘᲭᲔᲑᲘ

პირს ხსენი არ შეშრობიათ დედის,
ჯერ ისევ ცეროდენები ეთქმით.
ამდგარან რა ჩუმად, რა მალულად,
სოხუმს დავიცავთო... გაპარულან...
მშობლებო, ნუ გძალავთ ნაღველი,
ნუ მისდევთ პირმშოებს ნაცრემლად,
გუშინ გაგეპარნენ ბალღები,
ხვალ დაბრუნდებიან კაცებად!

●

ᲜᲣ ᲕᲐᲬᲣᲮᲔᲑᲗ

ნუ ვაწუხებთ სააკაძე გიორგის,
მოვასვენოთ სამარეში მაინცა,
მისი სისხლი ჩვენს ძარღვებში მიმოდის,
ავბედობით ერისთვის რომ დაიქცა.
ახლა განსჯა ადვილია აქედან,
ჟამი ჟამობს ათას კვანძის გამხსნელი;
მძლე დევგმირი ილდით ბევრჯერ გახვდა,
გულს ჯიჯგნიდნენ მოშურნეთა დანები.
დიდ მოურავს ძეგლი მიტომ დავუდგით,
ააშორა ერი ჭირთა მრავლობას;
მას როდესაც ვიხსენიებთ ოჯგით,
მყისვე ფრთებს შლის ხოლმე შადიმანობა.

●

ᲨᲔᲒᲝᲜᲔᲑᲐ

შვილო, ხვალ გზას იყალიბებ,
ცად საფრენ სივრცეს იმკვიდრებ,
ღმერთმა გაშოროს სიღარიბე,
ან მეტისმეტი სიმდიდრე!

●

ᲠᲐᲡ ᲛᲝᲕᲔᲡᲬᲐᲠᲘ!

დიდ ტრიბუნიდან გენერალურ ასამბლეას
ქართველი კაცი საქართველოს ტკივილებს
აცნობს,
ამას სიზმარშიც ვერ ვიფიქრებდი,
რას მოვესწარი, კაცო!
თითქოს ცხელ გულზე მიტყლაშუნებს
ერთად ცხრა ტალღა,
ვაჰ, თუ გავგიჟდი, სიხარულით, ვწიშოვ ამაღლა.

ᲞᲝᲚᲔᲛᲘᲙᲐ

ᲘᲥᲜᲔᲑ ᲠᲣᲑᲚᲘ ᲘᲧᲝᲡ ᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲘ

ᲛᲐᲜᲔᲗᲘ, — დღესაც ასე უწოდებენ რუსულ რუბლს საქართველოში. ტერმინი ლათინური მონეტის დამახინჯებული ფორმაა, იგი ვაჭრებმა შემოიტანეს, სპარსულ-თურქული მოდგმის [illegible] წამოიღეს.

მანეთი, ანუ მანათი, ქართულ ენაში მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში შემოვიდა, „ვეფხისტყაოსანში" მანათი არის, [illegible] ნიშნავს. აი, დავით ჩუბინაშვილი კი მე-19 საუკუნის ბოლოს თავის ლექსიკონში განმარტავს, რომ მანათი, მანეთი [illegible] თეთრი, серебряный рубль-იაო.

პირველი ვერცხლის მონეტა — რუბლი — ნოვგოროდში მოუჭრიათ მე-13 საუკუნეში. მე-14 საუკუნიდან კი რუსეთის სხვა საქალაქებშიც გავრცელებულა. ტერმინი „მანეთი" ქართულ ენაში შემდეგ გაჩნდა, რაც რუსეთმა კავკასიისპირეთი დაიპყრო. მა[illegible] ინდოევროპული მანათიც უმალ [illegible] გავრცელებულა სპარსულსა და [illegible] ენებში და აქაც რუბლის ეკვივალენტად იხმარებოდა.

საბჭოთა ფული კარგად გვახსოვს. მაშინ ის თხუთმეტივე მოკავშირე რესპუბლიკის კუთვნილება იყო და თხუთმეტსავე ენაზე შესაბამისად იწერა: რუბლი, რუბლა, რუბლასი, რუბლისი, რუბლე და ა. შ. სომხები რუბლს ეძახდნენ საბჭოთა ფულს, ქართველები მანეთს, — უკრაინელები — კარბოვანეცს, ცენტრალური აზიის რესპუბლიკები — სომს, სუმს, მანათს და ა. შ. აზერბაიჯანშიც ტერმინი მანათი იყო გავრცელებული.

ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკებმა, დღეს უკვე დამოუკიდებელმა სახელმწიფოებმა, თავიანთი ფულის ნიშნები შემოიღეს. აზერბაიჯანსა და თურქმენეთში ეროვნულ ვალუტას ახლაც მანათს უხმობენ. 1993 წლიდან კი რუბლი რუსეთის ბანკის ფულის ნიშანია და ბანკნოტს „რუბლის" გარდა, სხვა ენაზე არაფერი აწერია, არც უნდა ეწეროს.

რუბლი დღეს რუბლია და არა — მანეთი, ისე, როგორც ამერიკული დოლარი დოლარია და მანეთი — არა. ანდა ხომ არავის მოუვა აზრად გერმანული მარკის ეკვივალენტად გერმანული მანეთი თქვას, ფრანგული ფრანკის მაგიერ — ფრანგული მანეთი და ასე შემდეგ? დღეს უკვე აღარავინ ამახინჯებს, არ ცვლის ამა თუ იმ სახელმწიფოს ვალუტის დასახელებას და ტერმინი თავის ენაზე ისე გადააქვს, როგორც ორიგინალშია. მართალია, მანეთი თავის დროზე, რუბლის ოფიციალურ ქართულ სახელწოდებად იქცა, ამ ორი ტერმინის ტრადიციული იდენტურობა აისახა საბჭოთა ფულის ერთეულთა ნომენკლატურაშიც, მაგრამ მანათად ქცეული მონეტა ერთხელაც ხომ უნდა გასწორდეს, მით უმეტეს, რომ მანეთი ქართულ ფესვებზე არ აღმოცენებულა. სხვის „მანეთიანს" არ ჯობს თავისივე სახელი — რუბლი ვუწოდოთ?

დღევანდელ მკითხველს, ალბათ, დააინტერესებს, ქართული შესატყვისები იმ, ამჟამად უკვე ქართულად ქცეული სიტყვებისა, რომელთა წარმომავლობაც არავის ახსოვს: ძმადი არაბული მაყრის სანაცვლოა. მწდე სპარსულ მერიქიფეს ნიშნავს. ქართულად ილიკრო სპარსული მადანია. თოფი თურქულია და ჩვენებურად ხელმხას ამბობდნენ. ახლა სხვა მაგალითები: ლილია (ლამაზი), გულგული (ცენტრალური), ყიფი (ამაყი), ლანძვი (ფანჯარა), პერი (ქაფი), ხერთვისი (კუნძული), ქანდა (ვარაყი), უტევანი (სტადიონი), ძოლო (ხალიჩა), ქიქნაური (აბრეშუმი), სასთაული (ბალიში), სელი (სკამი), ღინწი (დანა), კინტრო (ჰორიზონტი), როპანაგი (შარვალი), მოგვი (ჩექმა), ჩუბინი (სნაიპერი), კრისტამბელი (ფარდა), მერე (მოედანი), ჩექე (გოგირდი), საქამო (საათი), სავაჭრო (ბაზარი), კუმბა (საპონი), ტეგანი (ტარხუნა), ნიკარი (ფაიფური), წოტი (ლობიო), ტაბუცინი (სალათა), თერო (ნიახური), გლარჯა (თამბაქო), და რომელი ერთი ჩამოვთვალოთ?..

— მანეთი?

— ვფიქრობ, რუბლი უმჯობესი იქნება.

ᲝᲛᲐᲠ ᲛᲝᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲔᲠᲗᲘ ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲐ

ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲔᲑᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲪᲐᲕᲐᲓ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა მიიღო დადგენილება „ბეჭდვით გამოცემათა ავტორებისა და მათი მემკვიდრეების საავტორო უფლებათა დაცვის ღონისძიებების შესახებ". ამასთან დაკავშირებით ჩვენმა კორესპონდენტმა კითხვით მიმართა საქართველოს საავტორო უფლებათა სახელმწიფო სააგენტოს დირექტორს, პოეტ ნოდარ გურეშიძეს.

— ბატონო ნოდარ, რამ გამოიწვია ამ დადგენილების მიღება და რას ითვალისწინებს იგი?

— როგორც მოგეხსენებათ, უკანასკნელ წლებში საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პოლიტიკამ და ამასთან დაკავშირებით კერძო სტრუქტურების წარმოქმნამ, მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად რიგი თვისებრივი ცვლილებები გამოიწვია წიგნის გამოცემის საქმეში. ახლა წიგნის გამოცემა შეუძლია ყველას, ვისაც ამისი სურვილი და მატერიალური შესაძლებლობები აქვს. არის შემთხვევები, როცა წიგნის ბაზარზე ნახავთ უამრავ სხვადასხვა ხასიათის ლიტერატურას, რომელთა გამომცემლობის დადგენა, იმის გამო, რომ გარკვეული მოსაზრებით, წიგნზე ის მითითებული არ არის, პრაქტიკულად შეუძლებელია. უმოწყალოდ ირღვევა ავტორთა და მემკვიდრეთა კანონიერი უფლებები. არც ისე იშვიათია, როცა ამა თუ იმ წიგნზე არ არის აღნიშნული არათუ გამომცემლის ვინაობა, არამედ გამოცემის თარიღი და ადგილი და ზოგჯერ თვით ავტორის ან მთარგმნელის ვინაობაც კი. წიგნების ბაზარზე გამოსვლას ავტორები ან მათი მემკვიდრენი შემთხვევით, ან ზოგჯერ სულაც ვერ იგებენ. ზოგიერთი გამომცემლის პირადული საქციელი ყოველგვარ საზღვრებს სცილდება. გამოცემული წიგნების მრავალრიცხოვანი ტირაჟიდან მიღებული შემოსავალი მხოლოდ გამომცემელთა კუთვნილება ხდება და ისინი მდიდრდებიან ავტორებისა და მათი მემკვიდრეების ხარჯზე. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში სწორედ ეს უკანასკნელნი არიან, ვინაიდან გამომცემელთა ერთი წილი საერთაშორისო პრაქტიკისა და რესპუბლიკაში მოქმედი საავტორო სამართლის გვერდის ავლით საერთოდ არ თვლის საჭიროდ მემკვიდრეებთან ურთიერთობას.

რასაკვირველია, საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 512 მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას წიგნის გამოცემისათვის ავტორის ან მისი მემკვიდრის უნებართვოდ და მასთან ხელშეკრულების გაუფორმებლად, მაგრამ ამას წინათ მიღებულმა დადგენილებამ, რომლითაც გაუქმდა საავტორო გასამრჯელოს დაწესებული ნიხრი და ანაზღაურება, ზოგიერთ გამომცემელს ჰონორარის გადახდისაგან თავის არიდების ერთგვარი საბაბი მისცა. იმის მომიზეზებით, რომ დადგენილებაში არ არის მითითებული საავტორო ჰონორარის მინიმალური ზღვარი, გამომცემლები არ უხდიან კუთვნილ ჰონორარს და ავტორები და მათი მემკვიდრეები სოციალურად დაუცველნი ხდებიან.

ბეჭდვით გამოცემათა ავტორებისა და მათი მემკვიდრეების საავტორო უფლებათა შელახვის, **კონტრაფაქციის ანუ ნაწარმოების უკანონოდ გამოყენების ფაქტების** თავიდან აცილების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის საავტორო უფლებათა სახელმწიფო სააგენტოს წინადადებით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა რესპუბლიკის ტერიტორიაზე მყოფ გამომცემლობებს, გამოცემის უფლების მქონე ფირმებს, ასოციაციებსა და ორგანიზაციებს, მათი საკუთრების ფორმის მიუხედავად, დაავალა საქართველოს რესპუბლიკის საავტორო უფლებათა სახელმწიფო სააგენტოში რეგისტრაციისათვის ბეჭდვით გამოცემათა საჭირო მონაცემების წარდგენა.

ამასთან, ბეჭდვით გამოცემათა ავტორებისა და მათი მემკვიდრეების საავტორო უფლებათა დარღვევის, ნაწარმოების უკანონოდ გამოყენების, ავტორთან ან მის მემკვიდრესთან ხელშეკრულების გაუფორმებლად ნაწარმოების გამოცემის შემთხვევაში, დადგენილების თანახმად, გამოცემის უფლების მქონე ყველა დაწესებულებას ეკისრება საქართველოს რესპუბლიკის საავტორო უფლებათა სააგენტოს მეშვეობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, საკუთარი სახსრების ხარჯზე, ჯარიმის სახით გადაიხადოს გამოცემული ნაბეჭდი პროდუქციის გასაყიდი ღირებულების 25, ხოლო ავტორის ან მისი მემკვიდრის სასარგებლოდ, კომპენსაციის სახით 50 პროცენტი.

ვფიქრობთ, ეს დადგენილება მადას შეუზღუდავს სხვის ხარჯზე გამდიდრების მოყვარულ გამომცემლებს და ხელს შეუწყობს ავტორთა და მათი მემკვიდრეების კანონიერი უფლებების დაცვას.

ინფორმაცია

„ივერიის" ლენტიდან

თბილისი. საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრმა ვარდიკო ნადიბაიძემ განაცხადა, რომ ამჟამად უპირველესი ამოცანაა „საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის შესრულება. მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი ქართული რეგულარული არმიის შექმნა.

მოსკოვი. რუსეთის ფედერაციაში საქართველოს რესპუბლიკის [illegible] პრეზიდენტის სრულუფლებიანმა [illegible] განაცხადა, რომ ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების მორიგი რაუნდი უაღრესად მძიმედ და დაძაბულად მიმდინარეობს. აფხაზთა მხარე უკომპრომისოდ არის განწყობილი.

თბილისი. საზოგადოებრივი მოძრაობა „სიცოცხლისათვის" მოითხოვს საქართველოს რესპუბლიკაში რეფერენდუმის ჩატარებას სასიცოცხლოდ აუცილებელ ყველა პროდუქტზე საბარათო სისტემის შემოღების თაობაზე. საჭიროა 150.000 ხელმოწერა, მაგრამ რეფერენდუმის ჩატარებლად აუცილებელია 350.000 ხელმოწერის შეგროვება.

თბილისი. დასავლეთ საქართველოში პოლიციის მიერ განხორციელებული მორიგი [illegible] ოპერაციის შედეგად, ჩამორთმეულია ძვირადღირებული 10 სამხედრო-საველე რადიოსადგური, რომელთა ნაკლებობასაც მწვავედ განიცდიდა ქართული ჯარი აფხაზეთის რეგიონში.

თბილისი. რკინიგზის დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ გუგული მაისურაძემ განაცხადა, რომ შექმნილია მძიმე მდგომარეობა ელექტროენერგიით მომარაგების საკითხში. ყოველწლიურად საჭიროა 150 ტონა საკონტროლო გაცვეთილი მავთულების გამოცვლა, რაც ბოლო სამი წლის მანძილზე არ განხორციელებულა. აღსანიშნავია, რომ ეს საქონელი არც რუსეთის ფედერაციაშია იოლად ხელმისაწვდომი, რის გამოც, როგორც გ. მაისურაძემ თქვა, საქართველოს რკინიგზის ელექტრიფიკაციამ შესაძლოა პარალიზება განიცადოს.

გ. მაისურაძემ აღნიშნა, რომ განსაკუთრებით გაიზარდა მავთულსადენების ქურდობა. სამეგრელოს რეგიონში მთლიანად გაძარცულია ინგირი-ჯვარის მონაკვეთი, მოსახლეობა ძარცვას არც სხვა რაიონებში ერიდება, მაგალითად, ბაკურიანში მოიპარეს საკონტაქტო [illegible].

ქართველებმა მხრები გაშალეს

თბილისი. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მხილებულია საქართველოს მოქალაქეების მიერ ჩამოყალიბებული რამდენიმე განგსტერული ბანდა.

საქართველოს რესპუბლიკის ზოგიერთი მოქალაქის კანონსაწინააღმდეგო ქმედების გამო, შეშფოთება გამოთქვეს აგრეთვე თურქეთის რესპუბლიკის იმ ვილაიეთების ხელმძღვანელებმა, რომლებიც საქართველოს ესაზღვრებიან. როგორც მათ თქვეს, არსებობს დანაშაულებრივი ალიანსი თურქეთში მოქმედ ქართულ მაფიასა და ადგილობრივ კრიმინალურ წრეებს შორის.

პოლიციაში იციან, რა დაფარონ

თბილისი. მოეწყო საქართველოს რესპუბლიკის შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს ფართომასშტაბიანი რევიზია, რომლის შედეგადაც გამოვლინდა მრავალი დარღვევა, მათ შორის, დანაშაულის დაფარვის ფაქტები.

ქურდებმა იციან, რა მოიპარონ

საქინფორმის კორესპონდენტის ცნობით, ჯერჯერობით დაუდგენელმა ბოროტმოქმედებმა გაქურდეს თბილისის გეოფიზიკის ინსტიტუტის შენობაში მოთავსებული საქართველო-[illegible] ერთობლივი საწარმო „ჯეოკომ-ინტერნეშნელი". ქურდებმა გაიტაცეს 1250 ტელეფონის აპარატი და საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკიდან ნაღდი ფულის მისაღები ჩეკის 10 წიგნაკი. გატაცებულია აგრეთვე საქართველოს ეროვნული ბანკის საზღვარგარეთ ვალუტის გასატანი სპეციალური 288 ბლანკი.

იჩქარეთ, გამოიწერეთ

რა ხდება ახალი ჩვენს ქვეყანასა და პლანეტაზე, საშინაო თუ საგარეო პოლიტიკურ პროცესებში, ეკონომიკაში, ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში? — თუ გსურთ, მუდმივად გქონდეთ მრავალფეროვანი ოპერატიული ინფორმაციები ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, თვალს ადევნებდეთ საქართველოსა თუ მთელ მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს, ნუ დააყოვნებთ, გამოიწერეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", რომელიც ამჟამინდელ არეულ დროში განსაკუთრებით გჭირდებათ და გამოგადგებათ ძვირფასო ხელმომწერებო, თქვენც და თქვენი ოჯახის წევრებსაც.

წლეულს, წლის მეორე ნახევრისთვის ხელმოწერის კამპანია 15 ივნისამდე გასტანს, მაგრამ ბოლო დღეებამდე ნუ გადასდებთ ხელმოწერას ჩვენს გაზეთზე, რომლის ერთი ნომრის ფასი დღეს ყველაზე იაფია. თქვენივე ინტერესებიდან გამომდინარე, კვლავაც ვეცდებით არ გავაძვიროთ იგი, მაგრამ ამჟამინდელი ჰიპერინფლაციის პირობებში არაფერია მოულოდნელი. ამდენად, თუ დღეს გამოიწერთ „საქართველოს რესპუბლიკას", ხვალ მოგებული იქნებით.

„საქართველოს რესპუბლიკის" გამოწერა შეუფერხებლად შეიძლება „საქპრესის" ნებისმიერ განყოფილებაში. გაზეთის ინდექსი 66484.

„საქართველოს რესპუბლიკა!"


— ჩიტო, ჩიტო, ჩიორაო!
— რით, ბატონო მელავ?
— ერთი, დღევანდელი „საქართველოს რესპუბლიკა" გამომიგდე.

მხატვარი ვახტანგ კუცია.

ისევ ჩვენს გაჭირვებაზე!

სახლკარდამწვარნი

1991 წელს ქართველებმა გაძარცვეს და გადაწვეს დედაქალაქის გული — რუსთაველის პროსპექტი და თავისუფლების მოედანი.

მოვიდა ახალი ხელისუფლება. ქალაქის მერი ოთარ ლითანიშვილი, პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა „ცნობილი მოვლენების შედეგად დაზარალებულებს" იმავე წელს ახალი ბინების აშენებასა და ზარალის ანაზღაურებას შეჰპირდნენ.

ბინები არ აშენდა, ზარალი არ ანაზღაურებულა.

მომდევნო მერმა კოტე გაბაშვილმა გაბრაზებით უსაყვედურა განერვიულებულ, თითო პერანგის ამარად დარჩენილ მოსახლეობას, მე რას მეჩხუბებით, მე კი არ დამიწვიხართო. შემდეგ კი ერთ-ერთ ბინადარს დაენიძლავა, რომ თავისუფლების მოედანზე საცხოვრებელი სახლის საძირკველი 1993 წლის აგვისტოში გაიჭრებოდა (თუმცა კი მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით ეს სახლი 1993 წლის პირველ კვარტალში უნდა ჩაებარებინათ).

საძირკველი არ გაჭრილა. კ. გაბაშვილმა ნაძლევი კი წააგო, მაგრამ მის კარიერას ეს არ დასტყობია.

დაზარალებულებთან შეხვედრაზე მოსულმა პარლამენტარმა ირინა სარიშვილმა გაოცება გამოთქვა, მე თქვენ დიდი ხნის დაბინავებულები მგონიხართო.

მთაწმინდის რაიონის დეპუტატის ვალერი კვარაცხელიას პასუხს მოსახლეობის წერილზე ჩვენამდე არ მოუღწევია.

მოვიდა მესამე მერი ნიკო ლეკიშვილი, იგი ზარალის ანაზღაურებას არა, მაგრამ მშენებლობის დაწყებას კი შეჰპირდა უბინაოებს, ისიც აღნიშნა, პირველ რიგში თავისუფლების მოედნის საკითხს გავარკვევთო. ვიცე-მერმა ალეკო კურცხალიამ ტელევიზიით გამოსვლისას განაცხადა — თავისუფლების მოედანზე საძირკველი დეკემბერში გაიჭრება.

დადგა 1994 წელი. თავისუფლების მოედანზე მგავსი არაფერი მომხდარა.

უარესი კი, რამდენიც გსურთ. ომის დროს ბედად გადარჩენილი არქიტექტურული ძეგლის, ცნობილი ფოტოგრაფის — ერმაკოვის სახლის ფასადი, რომლის პირვანდელი სახით აღდგენის ბრძანება ჯერ კიდევ ო. ლითანიშვილის დროს იყო გაცემული, ამ ხნის მანძილზე თვალსა და ხელშუა დაიშალა. ჯერ იყო და დედაქალაქის მთავარ მოედანზე ამ სახლის ორივე სართულიდან ბრინჯაოს სხმული აივნები ისე მოიპარეს, კაციშვილს „არ დაუნახავს". შემდეგ გამაგრებული საძირკვლისა და ამწის დადგმის მიუხედავად (მშენებლობა არავის გაუგრძელებია, პირიქით, ამწე სადღაც წაიღეს, სახლი საეჭვოდ ჩამოანგრიეს და ძეგლთა დაცვის კომიტეტის პროტესტის მიუხედავად, სულაც დაშალეს. რა თქმა უნდა, ამაზე ქალაქის მთავარ არქიტექტორს ბატონ მასხარაშვილს და მთაწმინდის რაიონის გამგებელს ბატონ ზურაბ ბიბილეიშვილს რეაგირება არ მოუხდენიათ (მისი აგურებით შესანიშნავი სახლია წამოჭიმული ნუცუბიძის მე-4 ფერდობზე, საერთო საცხოვრებლის პირდაპირ). ტერიტორია საკონკურსოდ გადასცეს: შარშან „თბილისქალაქპროექტის" აღნიშნულ სახლის პროექტის კონკურსში, როგორც იქნა ერთ-ერთმა, კერძოდ, ლევან ჯანდიერის პროექტმა გაიმარჯვა. ის იყო მობინადრეებმა შვებით ამოისუნთქეს, არიქა გვეშველაო, რომ „საქსახპროექტმა" თავისი პრეტენზია წამოაყენა: საერთო განაშენიანების კონკურსში ჩვენ გავიმარჯვეთ და თქვენ ვისი ტიკი-ტომარები ხართ, როგორ სახლსაც გვინდა, ჩვენ ისეთს ავაშენებთო. გამარჯვებულმა არქიტექტორებმა გივი გეგეშიძემ და ლადო სიმონიამ ფანტაზიის დიდი გასაქანი მისცეს, თავისუფლების მოედანზე საცხოვრებელი სახლი ეროვნული ბანკის უკანა ეზოში, ძველ კედელთან დააპროექტეს (სადაც ღვთის მადლით, ცეცხლს გადარჩენილი ორი კაპიტალური შენობა დღესაც დგას). იმ შენობების დანგრევა, მათ ადგილას საძირკვლის ამაღლება, მიწისქვეშა სამსართულიანი გარაჟების აშენება და ზედ საცხოვრებელი სახლის შეკუპება განიზრახეს. ძველ ადგილას კი, თუ რამ ფირმა და ოფისია, ყველას ჩატევა მოინდომეს. აცრემლებულ „დაზარალებულთა" მორიდებულ შენიშვნაზე — „ჩვენი კერიდან სად გავაგდებო", ამ დასუსტებულ ქვეყანაში ისევ დანგრევას, ხომ არ აჯობებს შენობა კვლავ ძველ ადგილას ავგოთ, რადგან თქვენს მშვენიერ პროექტს სულ ცოტა 15 წელიწადს განხორციელება არ უწერიაო, გივი გეგეშიძემ დაიქადნა, ჭკვიანად იყავით, თორემ სულაც არაფერს აგიშენებთო.

გამწარებული მოსახლეობა თბილისის ახალ ვიცე-მერს ბატონ ა. კურცხალიას მიადგა: „უფალო ვიცე-მერო, იქნებ ამდენ წვალებას ის სჯობდეს, ოთარ ლითანიშვილის კეთილი და პატიოსანი განკარგულება გაგვეხსენებინა და როგორც ადრე იყვნენ შეპირებული, სახლი ძველ ადგილას აგვეშენებინათ. მით უმეტეს, რომ ძველი დაპირების იმედად დარჩენილი თავისუფლების მოედნის № 4-ის მოსახლეობას ყიფშიძის, შევჩენკოსა და მარჯანიშვილის ქუჩების ორდერების გაცემაში მონაწილეობა არ მიგვიღია და ამ ადგილის გამო სულაც ჰაერში გამოკიდებული დავრჩითო". ა. კურცხალიამ კი მათ ჩვეული სიდინჯით უპასუხა, ისინი ბევრს კი გვპირდებოდნენ, მაგრამ საქმეს სათავისოდ იწყობდნენო. ლოგიკურად ქვეტექსტი ამ ნათქვამისა ასეთი უნდა ყოფილიყო, — მეც დაგპირდებით, მაგრამ საქმეს ისე გადავწყვეტ, როგორც მე მაძლევს ხელსო. აკი მისი პირველი დაპირება დეკემბერში საძირკვლს გავჭრითო, დაპირებად დარჩა.

ასეც იქნება, შენობა ძველებური სახით აღდგება, მაგრამ შიგ სხვები ეცხოვრებენ. თუ ვინ იცხოვრებს და ვის ექნება იქ ოფისები, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს. მოსახლეობამ წერილი სახელმწიფოს მეთაურს ე. შევარდნაძეს გაუგზავნა. წლეულს, მარტში, სახელმწიფოს მეთაურმა წერილი ქალაქის მერიას გადაუგზავნა მითითებით — „გაითვალისწინეთ მოსახლეობის ინტერესები", ხოლო მინისტრთა კაბინეტში იოსებ ხარატიშვილთან თათბირზე ანალოგიური განხილვის დროს ქალაქის ვიცე-მერს ალ. კურცხალიას სახელმწიფოს მეთაურის ბატონ ე. შევარდნაძის მითითების შესახებ სიტყვაც არ დაუძრავს.

აღელვებული ხალხი იმით დაამშვიდეს, რომ მშენებლობას გერმანელები დააფინანსებენ და საქმეს თავი მალე მოებმებაო. მაგრამ, როგორც ყველა სხვა დაპირება, ესეც საპნის ბუშტივით გასკდა. ერთ-ერთმა თანამდებობის პირმა ბრძანა, გერმანელებს დახმარებას ვთხოვთ, თუმცა საცხოვრებელი სახლისათვის თუ ოფისისათვის ამას მნიშვნელობა არ აქვსო. ესეც თქვენ!

აი, ასე! 1991 წლის 28 დეკემბერს დამწვარი სახლის არც პროექტი, არც გარანტია, არც ორდერი დღეს, 1994 წლის მაისშიც არ არსებობს. მშენებლობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. სხვაგან მშენებლობა თუ ძალლუმადურად, ასე თუ ისე, წინ მიიწევს და მოსახლეობასაც აქვს ახლად გამოწერილი ორდერი, თავისუფლების მოედანზე ეს საკითხი, როგორც, ალბათ, თვადაც მიხვდით, ხელოვნურად ჭიანურდება.

დაზარალებული მოსახლეობის სახელით

ელისაბედ ყვავილაშვილი.

ნატიფი შამათი

რუბრიკას უძღვება

შოთა ინწკირველი

„სიძველისადმი გრძნობა, პატივი"

გთავაზობთ ანდრია დადიანის უცნობ საკონსულტაციო პარტიას ლეგენდარული ამერიკელი ჰარი პილსბერისა და მსოფლიო პირველობის პრეტენდენტის გერმანელი ზიგბერტ ტარაშის მონაწილეობით.

ტარაში, გოფერი — პილსბერი, დადიანი. მეფის გამბიტი. მონტე-კარლო, 1903 წელი. 9 თებერვალი. 1. e4 e5 2. f4 ef 3. კc4 d5 4. კd5 ლh4 5. მფf1 g5 6. მf3 ლh5 7. მc3 კg7 8. d4 მe7 9. h4 მbc6 10. მg5 ლd1 11. მd1 მd5 12. ed მd4 13. კf4 მc2 14. ეc1 კf3 15. მe3 მe3 16. კe3 h6 17. მf3 0-0-0 18. კf4 ეd7 19. d6 c6 20. მe5 ეd6 21. მf7 ეf6 22. მd6 (22. მh8 კe4, შემდეგ თეთრები ეტლში ორ მსუბუქ ფიგურას კარგავენ) 22. ...მფd7 23. კe5 ეd6 24. კg7 ეg8 25. კc3 კe4 26. ეh2 კd5 27. a3 ეe6 28. ეe1 ეeg6 29. ეd1 მფc8 30. ეd2 ეe6 31. ეf2 კc4 32. მფg1 ეe3 33. კd2 ეd3 34. ეh1 ეg4 35. ეf4 h5 36. ეf2 კd5 37. ეh2 ეdg3 38. კg5 b6 39. კf6 a5 40. ეe2 მფb7 41. კe5 ეd3 42. g3 ეd1 43. მფf2 კc4 44. ეe3 c5 45. კc3 მფa6 ყაიმი. შავი პოზიცია აქაც უფრო პერსპექტულია.

ჩემმა მოწაფემ 9 წლის მეოთხეთანრიგოსანმა ნინო მელაშვილმა (ამჟამად ოსტატი) მშვენიერი მინიატიურა შექმნა ნორჩ მოჭადრაკეთა კლუბ „ნაკადულის" ჩემპიონატში (პირველი ექსპერიმენტული სკოლა).

გოროზია — მელაშვილი. მეფის გამბიტი. თბილისი, 1970 წელი. გიორგობისთვე. 1. e4 e5 2. f4 ef 3. მf3 g5 4. კc4 g4 5. მe5 ლh4 6. მფf1 მf6 7. მf7 f3 8. gf ლh3 9. მფf2 d5! 10. მh8 gf 11. ლf3 კc5 12. d4 მe4 13. მფe3 კd4! გოროზია დანებდა.

ნინო მელაშვილი



გოროზია

საქართველოს ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის ლიდერმა, ქუთაისელმა ხვიჩა სუპატაშვილმა მესამე ტურში ბრწყინვალე შემოქმედებითი გამარჯვება მოიპოვა.

სუპატაშვილი — მოვსესიანი. ინდური. თბილისი, 1994 წელი. 10 ვარდობისთვე. 1. d4 მf6 2. c4 d6 3. მc3 მbd7 4. მf3 e5 5. კg5 ed (ჯობდა 5. ...კe7) 6. ლd4! კe7 (თუ 6. ...g6, მაშინ 7. ლe3! ლe7 8. მb5!) 7. e3 0-0 8. კe2 მc5 9. კh4 მe6 10. ლd1! c6 11. 0-0 d5, მოვსესიანმა საწადელი აისრულა, მაგრამ ფიგურათა დარღვეული კოორდინაციის გამო მისი პოზიცია ცუდია. 12. ლc2! dc 13. კc4 მc5 14. ეad1 ლe8 15. მd4 მh5 16. კe7 ლe7 17. b4 მe6 18. მf5!! თეთრი ფიგურების მზარდი კოორდინაცია მრისხანე სახეს ღებულობს. ახლა დროის მოსაგებად ეწირება პაიკი. საყურადღებოა, რომ, სუპატაშვილის ყოველი სვლა მუქარას შეიცავდა. ამით მოუსპო შავებს ფიგურათა ჰარმონიული განვითარების და h5 მხედრის თამაშში ჩართვის შესაძლებლობა. 18. ... ლb4 19. მe4! ლa5 20. მe7 მფh8 21. მd6 კd7 22. მf7! ეf7 23. ეd7 ეe8 24. მc6! ლc5 25. ეf7 ლc6 26. კb3 ლa6 27. ეe7! მოვსესიანი დანებდა. ახალგაზრდული პროფესიული საჭადრაკო კლუბი „ამომავალი ვარსკვლავი", პრეზიდენტი გიორგი ხომერიკი, ნაყოფიერად ილვწის ქართული ჭადრაკისათვის.

ზოგი რამ საინტერესო

1919 წლის 2 ქრისტეშობისთვეს ლონდონში თემთა პალატაში შედგა დიალოგი შოტლანდიის ქალაქ ედინბურგის დეპუტატ ხოგსა და დიდი ბრიტანეთის მაშინდელი პრემიერმინისტრ ბონარომ ლოუს შორის.

ხოგი: „შეიძლება გავიგო, ვინ დართო ნება პარლამენტის კედლებში საჭადრაკო შეჯიბრების ჩატარებისა, თანაც პროფესიონალი მოჭადრაკის მონაწილეობით, როცა მიმდინარეობს უმნიშვნელოვანესი საკითხის განხილვა შოტლანდიაში მიწათსარგებლობის წესების შეცვლის თაობაზე?"

ლოუ: „პარლამენტის სპიკერმა, საგანგებოდ ამ შემთხვევისათვის შექმნილმა პარლამენტართა კომიტეტის თხოვნით".

ხოგი: „იმის გარანტიის მიღება თუ შემიძლია, რომ ეს არ იქცევა პარლამენტში კრივის შეჯიბრების პრეცედენტად გამარჯვებულთათვის ჯილდოს გადაცემითურთ?"

ლოუ. „თუ ამ კითხვის მომცემი, ფრიად პატივცემული ჯენტლმენი მოისურვებს ამგვარი შეჯიბრების გამართვას და გადაწყვეტს მასში მონაწილეობას იმ იმედით, რომ ჯილდოსაც მოიპოვებს, მან თავისი წინადადება უნდა დააკონკრეტოს. დარწმუნებული ვარ, რომ პალატა არ უარყოფს წინადადების განხილვას".

პროფესიონალი მოჭადრაკე, რომელზეც ხოგი ლაპარაკობდა, იყო არა ვინმე სხვა, არამედ თვით კაპაბლანკა. ხოლო „საჭადრაკო შეჯიბრება", რის გამოც ასე დრტვინავდა ხოგი, იყო ერთდროული თამაშის სეანსი, გამართული მომავალი მსოფლიო ჩემპიონის (მოიპოვა 1921 წელს) მიერ ბრიტანელ პარლამენტარებთან.

პარლამენტში გამართული სეანსი ფრიად სავალალოდ დამთავრდა პარლამენტართათვის. როცა კუბელ დიდოსტატს კითხეს, თუ რა აზრისაა იგი მოპაექრეთა თამაშზე, მან ღიმილით შენიშნა: „ღრმად გააზრებული სტრატეგიული ჩანაფიქრები მე არ შემინიშნავს, მაგრამ ტაქტიკის მხრივ მათ ერთგვარი მიხვედრილობა გამოამჟღავნეს: ერთნი ზედმეტი სვლის გაკეთებას ცდილობდნენ, სხვანი უკვე აყვანილ ფიგურას დაფაზე აბრუნებდნენ, იმ იმედით, რომ მე ვერ შევნიშნავდი. მესამენი ჩემს ზურგს უკან ფიგურების გადაადგილებას აპირებდნენ... საერთოდ კი ამ ჯენტლმენთა ამომრჩევლების ადგილზე, მე მათ მუდმივ მეთვალყურეობას დავუწესებდი..."

კალათბურთი

სპორტული ჟურნალისტების — მერაბ რატიშვილისა და დიმიტრი ობოლაძის თაოსნობით ვერის ბაღში გამართული „ყველა ვარსკვლავის" მატჩი ანშლაგმა დაამშვენა — მაყურებელთა ასეთი მოზღვავება ჩვენს სპორტულ სარბიელზე მართლაც რომ სანატრელი გაგვიხდა.

„ვითა" — „კაქტუსის" ნაკრებს როგორც მოსალოდნელი იყო არ გასჭირვებია „თბილისი" — „დინამო" — „მერანი" — „აზოტი" — „ჯიხვის" რჩეულთა დამარცხება — 119:108. მატჩის საუკეთესო მოთამაშის პრიზი დამსახურებულად მიენიჭა ვახტანგ ნაცვლიშვილს, რომელიც გამარჯვებულთა შორის ყველაზე შედეგიანი იყო — 30 ქულა. მეტოქეებში თავი გამოიჩინა შალვა ცხვედიანმა — 26 ქულა (მან შვიდი სამქულიანი ჩააგდო).

კონკურსი ბურთის ჩატენვაში მოიგო მალხაზ ანდღულაძემ, ხოლო სამქულიან ტყორცნებში — შალვა ცხვედიანმა.

დასანანია, რომ სხვადასხვა მიზეზების გამო ამ დაუვიწყარ სანახაობაში მონაწილეობა ვერ მიიღეს ნიკოლოზ დერიუგინმა, დავით თორთლაძემ, გია სანაძემ და პაატა გურასპაულმა.

ჩოგანი

ძალოსნობა

ჩეხეთის ქალაქ სოკოლოვოში დასრულებულ ევროპის ჩემპიონატზე ქართველ ძალოსანთა გამოსვლა წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს.

სულ სამი სპორტსმენით დაკომპლექტებულმა ჩვენმა ნაკრებმა გუნდურ ჩათვლაში 29 ქვეყანას შორის საპატიო მერვე ადგილი დაიკავა. პირად ჩათვლაში კი ორი მედალი მოიპოვა. 91 კგ წონით კატეგორიაში ცნობილი ოლიმპიური ჩემპიონი კახი კახიაშვილი, მეორე პრიზიორი გახდა, ხოლო 99 კგ წონით კატეგორიაში ზუგდიდელი მუხრან გოგია „ბრინჯაოს" დაეუფლა.

ამას გარდა, მათ 2-2 ჯილდო დაიმსახურეს ცალკეულ მოძრაობებში: კახიაშვილმა — „ვერცხლი" აკვრაში და „ბრინჯაო" — ატაცში, ხოლო გოგიამ — „ბრინჯაო" აკვრასა და ატაცში.

მესამე ქართველი ძალოსანი ამბროლაურელი ბიძინა მიქიაშვილი (82 კგ) ორჭიდში მეხუთე ადგილზე გავიდა.

ორმოცდამეშვიდე საერთაშორისო კინოფესტივალი

კანის კრუაზეტის სანაპიროზე ფესტივალებისა და კონგრესების სასახლეში ხუთშაბათ საღამოს გაიხსნა ორმოცდამეშვიდე საერთაშორისო კინოფესტივალი. საორგანიზაციო კომიტეტის მისამართით გამოგზავნილი თითქმის ოთხასი ნამუშევრიდან შერჩეულია 14 ქვეყნის 23 ფილმი, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ მთავარი პრიზის „პალმის ოქროს რტოსათვის" ბრძოლაში. გამარჯვებულ ფილმს დაასახელებენ 23 მაისს — მას განსაზღვრავს ავტორიტეტიანი ჟიური, რომელსაც ამერიკელი მსახიობი და რეჟისორი კლინტ ისტვუდი მეთაურობს. ამის გარდა, ათობით ფილმი წარმოდგენილი იქნება პარალელურ პროგრამებში „კრიტიკის კვირეული" და „რაღაც თვალსაზრისი". რუბრიკით „მარადიული კინო" გაიმართება ფედერიკო ფელინის, რობერტ ალტმანისა და ჟან რენუარის ნამუშევრების რეტროსპექტული ჩვენება. წლევანდლიდან ახლდება საუკეთესო სცენარებისათვის ჟიურის პრიზის მინიჭების ტრადიცია.

საკონკურსო ფილმებს შორის არის ანდრია კონჩალოვსკის „ქათამი, რომელიც ოქროს კვერცხს სდებს" და ნიკიტა მიხალკოვის „მზით დაღლილები". ჟიურის შემადგენლობაში შედის რუსი მსახიობი და რეჟისორი ალექსანდრე კაიდანოვსკი.

ჩაიკოვსკი, გრიგი და მოსწავლეები

პეტრე ჩაიკოვსკისა და ედვარდ გრიგის საიუბილეო თარიღებს მიეძღვნა მუსიკალურ-ლიტერატურული კომპოზიცია, რომელიც თბილისის ივანე მიქელაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯში მოეწყო. ეს კოლექტივი, ყველაფრის მიუხედავად, საკუთარი ტრადიციების ერთგული რჩება.

პატარა მუსიკოსებმა დიდი მონდომებით შეასრულეს ჩაიკოვსკისა და გრიგის საბავშვო პიესები. საინტერესოდ ისაუბრეს კომპოზიტორების შემოქმედებაზე.

ამ ლამაზ მუსიკალურ-ლიტერატურულ საღამოს ხელმძღვანელობდა სკოლის ლიტერატურული ნაწილის გამგე ლ. დარახველიძე.

ბავშვებისთვის, რომლებიც ასეთი აუდიტორიის წინაშე პირველად წარსდგნენ, დიდი გზის დასაწყისში, ეს პირველი გამარჯვება იყო. აი, ისინიც: ე. ქვანჭილაშვილი, დ. ფალავა, გ. გოგელია, ნ. იოსელიანი, ნ. ჯაიანი, დ. ჩიხლაძე, ა. ჭანტურია და სხვები.

ბ. კოპალეიშვილი.

კარიკატურისტის თვალით



უსიტყვოდ.

ბესიკ ზუბაშვილის ნახატი.

ხსოვნა

თევდორე ცხადაია



ქართულმა მათემატიკურმა საზოგადოებამ მძიმე დანაკლისი განიცადა, 86 წლისა, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა თვალსაჩინო მათემატიკოსი და პედაგოგი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი თევდორე ცხადაია.

1932 წლიდან მოყოლებული იგი გახლდათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტი, დოცენტი, ფაკულტეტის დეკანი, ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ნ. მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე.

დიდია ბატონ თევდორეს როლი ახალგაზრდობის აღზრდაში. მისი პედაგოგიური ალღოსა და მათემატიკის დისციპლინებისადმი ღრმა პროფესიული დამოკიდებულების შედეგად, ბევრმა ახალგაზრდამ თავისი ცხოვრების ძირითად საქმიანობად მათემატიკაში მოღვაწეობა აირჩია.

ბატონმა თევდორე ცხადაიამ დიდად შეუწყო ხელი საქართველოში გამოთვლითი მათემატიკის განვითარებასა და სრულყოფას, განსაკუთრებით დიფერენციულ განტოლებათა მიახლოებითი ამოხსნის საკითხებში. იგი დიდი ხნის მანძილზე მხარში ედგა აკადემიკოს შალვა მიქელაძეს და ამ მიმართებით ბევრი სასარგებლო და საყურადღებო საქმის წამომწყები და სულისჩამდგმელიც იყო. რიცხვითი ანალიზის სპეციალისტმა, მიღებული ცოდნა დიდი წარმატებით გამოიყენა ილია ვეკუას გარსთა თეორიის ზოგიერთი სასაზღვრო ამოცანის გათვლის საკითხებში, რომელსაც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა 1968 წლიდან დღემდე.

უაღრესად თავაზიანი, განათლებული, ჭეშმარიტი ინტელიგენტი, შესანიშნავი მოქალაქე და მეგობარი, მზრუნველი მეუღლე, მამა და ბაბუა — ასეთი იყო ბატონი თევდორე ახლობელთა წრეში. მისი კოლეგებისთვის კი იგი ერთ-ერთი იმ პიროვნებათაგანია, ვისგანაც ახალგაზრდობამ უნდა აიღოს საქმისადმი ერთგულებისა და თავდადების მაგალითი.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი; ნიკოლოზ მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი; საქართველოს მათემატიკოსთა კავშირი.

თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს კოლექტივი იუწყება, რომ გარდაიცვალა

ზურაბ ვლადიმერის ძე მოსიძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების სამსახური

სამუშაოდ იწვევს 20-დან 30 წლის ასაკამდე რადიო-ტელეგრაფისტებს, რადიო-ინჟინრებსა და რადიო-ტექნიკოსებს.
მსურველებს გთხოვთ დაგვიკავშირდეთ ტელ.: 93-24-91.

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა ბანკმა 1994 წლის 14 მაისიდან დაადგინა კუპონის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები:

ავსტრალიური დოლარი	625,964.77	კუპონი
ავსტრიული შილინგი	74,677.73	კუპონი
ინგლისური გირვანქა სტერლინგი	1,300,217.11	კუპონი
10 ბელგიური ფრანკი	254,906.72	კუპონი
გერმანული მარკა	524,887.52	კუპონი
ჰოლანდიური გულდენი	467,291.55	კუპონი
დანიური კრონი	134,038.08	კუპონი
100 იტალიური ლირა	54,788.00	კუპონი
კანადური დოლარი	629,886.55	კუპონი
ნორვეგიული კრონი	120,849.97	კუპონი
აშშ დოლარი	870,000.00	კუპონი
ფინური მარკა	161,556.06	კუპონი
ფრანგული ფრანკი	153,113.45	კუპონი
შვედური კრონი	113,198.28	კუპონი
შვეიცარული ფრანკი	614,278.97	კუპონი
10 იაპონური იენი	84,304.36	კუპონი
ეკიუ	1,010,505.70	კუპონი
10 ესპანური პესეტა	63,865.80	კუპონი
10 ბერძნული დრაქმა	35,618.99	კუპონი
ირლანდიური გირვანქა	1,270,625.84	კუპონი
ისლანდიური კრონი	12,270.79	კუპონი
ქუვეიტური დინარი	2,926,335.56	კუპონი
10 ლიბანური გირვანქა	5,152.61	კუპონი
10 პორტუგალიური ესკუდო	51,025.34	კუპონი
სინგაპურული დოლარი	560,749.87	კუპონი
10 თურქული ლირა	248.04	კუპონი
ეგვიპტური გირვანქა	257,321.57	კუპონი
რუსული მანეთი	450.00	კუპონი
ლიტვური ლიტი	208,398.50	კუპონი
ლატვიური ლატი	1,462,500.00	კუპონი
ესტონური კრონი	63,090.00	კუპონი
10 უკრაინული კარბოვანეცი	202.50	კუპონი
ყაზახეთის ტენგე	18,450.00	კუპონი
მოლდავეთის ლეი	206,554.50	კუპონი
ყირგიზეთის სომი	66,013.00	კუპონი

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი.


ტურისტული ბიურო გთავაზობთ
დაუვიწყარ დასვენებას
მშვენიერ
კვიპროსზე
ცნობილ ზღვისპირა კურორტებზე.
ტელ: 29-12-57 ი. ნიკოლაძის ქ. №6.

ორგანიზაციების, ფირმების, კერძო პირების საყურადღებოდ!

სახელმწიფო ორგანიზაცია გთავაზობთ ორ, სამ ან ოთხსართულიან სახლის აშენებას თავისივე მასალით საბაზრო ფასებთან შედარებით 20-25 პროცენტიანი შეღავათით. შეკვეთა სრულდება ოპერატიულად.
ტელ: 36-02-88, 22-22-33 19 საათის შემდეგ.

იყიდება

იაფად 2,5 ოთახიანი ბინა ოქმქას III მიკრორაიონში, ინდუსტრიულ ტექნიკუმთან. 9-სართულიანი სახლის მე-6 სართულზე. ბინა ახალი გარემონტებულია, არავის უცხოვრია. საწყისი ფასი 3 500 დოლარი.
ტელ: 66-38-48 ზურა.

მთავარი რედაქტორი ზურაბ გოგიაშვილი.